

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველო



ბ. წაყბანი

ს. ს. ს.

№ 9



მომრდოლთაგანს. — სპეცგემანი.



1909

შინაარსი

I—ამოი ომი—დექსა, ვაჟა-ფშაველასი	3
II—როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?—ვაჟა-ფშაველასი	5
III—ბებია კაკალი—ა. შანაბდისა	16
IV—ლეგენდა—(საბერძნეთის ძველი-თქმულება) ელიზა თუ- შკოსი, (თარგმანი) დ. უღაბასია	20
V—საშინელი შემთხვევა—გ. ა. მანტუტისა (თარგმანი) თ.ბ.-სა	31
VI—მგლის ტრემლები—დექსა, ბანახასი	42
VII—კარტოფილი.—(თარგმანი) განდგვიდისა	44
VIII—ფუტკარი და მისი ცხოვრება.—(შემდეგი) წერაღა შეთხე: ფუტკრის გონიერება შრომაში, აშ. წულაძისა	53
IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი), ი. შო- სეშვიდისა	56
XI—მითოლოგია, ტროადის ომი—ერთას დღათ ზაჯა და- ხოცილ შოქოძეთა პატეისაცემლად, შიქაბერძისა	59
X—ა) ანდაზები,—ბ) გამოცანა,—ვ) რებუსი	63

ნაპაღული

საქმავშილო ჟურნალი

წელიწადი მთავარი

სექტემბერი, 1909 წ.

№ 9



თბილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა აზნაურობისა.

შინაარსი

I—ამაო ომი—ღექსი, ვაჭა-ფშაველასი	3
II—როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?—ვაჭა-ფშაველასი	5
III—ბებია კაკალი—ა. შანაბლისა	16
IV—ლეგენდა—(საბერძნეთის ძველი თქმულება) კლაზა ოჯე- სკოსი, (თარგმანი) ღ. კლაიფასი	20
V—საშინელი შემთხვევა—გ. ა. შანტკეტისა (თარგმანი) თ.ბ-სა	31
VI—ზღლის ცრემლები—ღექსი, პანანასი	42
VII—კარტოფილი.—(თარგმანი) განდგვილისა	44
VIII—ფუტკარი და მისი ცხოვრება.—(შემდეგია) წერაღი შეოთხე; ფუტკრის გონიერება შრომაში, აზ. წულაძისა	53
IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგია), ა. მო- სეშვილისა	56
XI—მითოლოგია, ტროადის ომი—ერთის დღით ზავი და- ხოცილ შეომართა მატევისაგემლად, მიქაბერიძისა	59
X—ა) ანდაზები, —ბ) გამოცანა, —გ) რებუსი	63





აგაო ოგი

ფ ვავსა და ყორანს გაჰხლოდათ
არწივის საბუღარზედა:

ერთმანეთს თაფ-პირს აქამდნენ
ნადაელარ - ნაქურდალზედა.

ნისკარტს ნისკარტში უყრიან,
ბრჯლალი თარეშობს ბრჯლალზედა,

ერთსაც ეწადა, სხვასაც
ბინის შეძენა შზაზედა.

ფიქრობენ — ბუდის პატრონი
მოკლესო მალლა მთაზედა.

როდი იციან, არწივი
რომ მოდის, მოჰყეფს გზაზედა.

ბინისკენ სული ელევა,

ცეცხლი უელავს თვალზედა.

ვაჟა-ფშაველა





როგორ ვაჩვენებ ბუები ქვეყანაზე?

I

აღლები სადღა არიან?—იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა,—ისრით იღლია-ვაგმირული, ტყავ-გაუხდელი არჩვი კერაზე დააგდო ისე დაუდევრად, რომ ნადირის წვერ მოკაუჭებულმა რქებმა მიწაც კი მოჩიქნა. ვერ იყო იოთამი კარგ გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის



წურწურით წყალი გასდიოდა, ავდარს დაესველებინა მშენებლის დი და კპარკი (საისრე) დედა-ბოძზე წნელით მიმაგრებული ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუპყრო; ტანზე გარეჰქცევ ნაცვამი ჯიხვის ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყა პირისახეზე აღენა; თბებოდა ცეცხლზე და თანაც კოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კერის შორი-ახლოს იწვა არხეინად, ძუ ვეფხვისა ჰგვანდა; გველ-ხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავეები ზოგი უკან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულ-მკერდზე ელაგა. პირისახე მოსინულ სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიქს, იოთამთან ნაყოლს, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორის ხელით ჩაჰბლაუჭებოდა და გაშმაგებით სწოდა ტუჩების ტკბანურით. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შეექცეოდა. დედა-შვილნი განცხრომაში იყვნენ. ლოგინად არჩევბისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსსა და ლელზე დაფენილი.

ეს მეორე კოლი იყო იოთამისა, მოტაცებული, ნანადირევი. ტყეში შეჰხვდა, სანადიროდ ნამყოფი, სტაცა ხელი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ თავის ქოხში ამოაყოფინა თავი. შენ ჩემი კოლი ხარ, ჩემი მონა-მორჩილიო. მდევრად წამოსული კოლის ძმები ისრით დახოცა, სიმამრს ქვით გაუტეხა თავი, კინალამ ისიც საიქიოს-გაისტუმრა. იოთამი ძალიან მძლავრი, მამაკი აღამიანი იყო.

ქმრის გამოხმაურებაზე კოლმა მხოლოდ გადმოიხენდა, ცეცხლივით შავი თვალები გადმოანათა, ოღნავაც არ შენძრეულა.

— ბაღლები სად არიან-მეთქი, შენ გეკითხები?— განუმეორა იოთამმა.

მოუხეშავს, ბრიყვს, სასტიკს იოთამს ფრიად უყვარდა პირველ კოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, მზია და ვეფხვია.

„ძროხები დაუკარგიათ, იმათ საძებნელად დავგზავნე“, უპასუხა კოლმა.



— ოჰ, ოჰ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცივესადაა გახდა შენს ხელში, დედაკაცო! ხუთი-ექვსის წლის ბალები ამ უკუმეთს ღამეში რა ძროხებს მოგიძებნიან?! ვინ იცის, რა დაეპართებათ ამ უკუმეთ ღამეში? გონდა ისინიც ნადირს დააკამო? ამდენს ჩემს სულით ტანჯვას, ჩემი შვილების წვალეზის ბარემ ერთხელ თავები დასკერ, მორჩი და გაათავე, შენც დაისვენე და მეც დამასვენე, — სთქვა გაჯავრებულმა იოთამმა.

„შენ გააჭირე საქმე და შენმა შვილებმა!.. რა გახდა შენი შვილები, გველის წიწილები ცოტაა ქვეყანაზე?“ — უპასუხა გარისხებულმა ცოლმა.

გაშტერებული იოთამი დიდხანს უცქეროდა ცოლსა.

— ჰაი, შე გველო, მართლა და გველო, — წარმოსთქვა მან ბოლო დროს. მაშინვე ჩამოიღო კაჩხიდან მშვილდი და წაისრე, ლახტი წელში გაიჩქო, დაიბჯინა შუბი და გაეარდა გარედ. წვიმა კოკის პირულად ასხამდა. მიდის იოთამი უგზო-უკვლოდ. თავბრუ ესხმის. ერთხანად შედგა, ჩაფიქრდა, უნდოდა დაბრუნებულიყო, ცოლისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეშალა. გასწია პირდაპირ, მიდიოდა როგორც გატყორცნილი ისარი. შეჰყო თავი ხშირს დაბურულს ტყეში, ავიდა მალლობზე და ჰყვირის: „ჰაი, ვეფხვიავ, ჰეი, მზიავ!“ პასუხი არ მოსცა არავინ. იმის ძახილზე მხოლოდ ნადირნი გარბოდნენ, მიალაწუნებდნენ; ხის ტოტებიდან დამფრთხალი ფრინველები, ზოგი ჰაერში ფარფატებდა, ტყის თავზე, სხვა ტყეშივე დაფთხობილებდა, დასაჯდომ ალაგს დაეძებდა.

დადის თავ-გადაგლეჯილი, ხელებ-დასისხლიანებული, თავ-პირ გადაკაწრული. „სადა ხართ, ჩემო შვილებო, თქვე საწყლებო, სადა? ჰაი, ვეფხვიავ, ჰაი, მზიავ!“ ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი მალალის ხმითა ჰყვიროდა. ამოა იყო მიწი ძახილი: გაღმა ფერდობებიდან მხოლოდ კლდეები გამოხზობით, გამოძახილით უპასუხებდნენ.



თმა-გაწეწილი, თვალეზ-დაფეთებული იოთამი გიქნა მგავა და, აქეთ-იქით აწყდებოდა, არ იცოდა, სად დაედგა ფეხი, რისთვის ეხლო ხელი, ყველგან თავისი შვილები ეგულებოდა, ასე მალე ისე შორს სად წავიდოდნენ, ველარ შეეხვდნო, ფიქრობდა თავისთვის... ჰაი, მზიავ, ჰაი, ვეფხვიავ! როდი იცოდა საბრალომ, რომ მისი შვილები დედინაცვალმა იმავე საღამოთი დაირეკა კარში, როცა ის სანადიროდ წავიდა და დღეს მესამე ღამეა, რაც იმათ ტყის კერი ჰფარავს, ნიავი ეალერსება დედისავეთ, ნაკადულები უამბობენ სახუმარო, საცინელს, სასიამოვნო ამბებს.—რომ ისინი ცოცხლები იყვნენ მხოლოდ სხვა სახით; იმათი ხმა, ძახილ-ძუხილი კიდევ ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, ეს ხმა ვისი ან რისი იყო. უკვირდა იოთამს, კაცი ბერდება ამ ტყეებში და ჯერ ამისი მსგავსი არაფერი ჰსმენია, რა იცოდა თუ მისი შვილები ეძახოდნენ ერთი მეორეს. რას ეძახოდნენ, მით უმეტეს, არც ის ესმოდა.

II

დედი-ნაცვალს არ ეხდინებოდა იოთამის შვილები, უნდოდა იმათი თავიდან მოშორება და აი რა ღონე იხმარა: იმ საღამოსვე, როცა იოთამი სანადიროდ წავიდა, როცა ვეფხვიამ და მზიამ საქონელი მორეკეს, იმათ შეუმჩნევლად ეს საქონელი ბაკიდან გამორეკა, უჩინარ აღგილას მოაფარა, ხოლო გერებს მოუშარა, საქონელი რად დაგიკარგიათო, გასწით მოძებნეთო. ბაღლების თავის მართლებამ ვერ გასკრა. ნახეს,—საქონელი ბაკში აღარ იყო. „გასწით, გასწით, ამ წუთში იპოვენთ საქონელი, უმისოთ თვალით არ დამენახოთ, თორემ ამ სიპებზე გაგინაყთ თავსაო.“ დედინაცვალს ორივე ხელში სიპი ჰვა ეჭირა, ერთი მეორეს ტაშივით შემოჰკრა, ისე მკვეთრად და სარწმუნო კილოთი წარმოსთქვა ეს სიტყვები, ბაღლებს ტანში ერუანტელმა დაუარა. „მინამ არ იპოვოთ, თვალით არ დამენახოთო!..“ საშინლად ბნელოდა. ბავშვები ტირილით გაუდგნენ გზას, მაგრამ სად იყო გზა? უღრანს ტშეში უგზო-



უკვლოდ დახეტილობდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ. ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ, ერთი რომ წაიქცეოდა, მეორე აყენებდა ფეხზე. მოსთქვამდნენ; გარკვევით ისმოდა იმათი ტირილი. „ვაი, დედი, ვაი დედიო!“ უხმობდნენ დედას მოპშველებოდათ, მაგრამ დედა არსადა სჩანდა. იმათ გარშემო მხოლოდ მხეცების ბრდღვინვა და ფშვინვა ისმოდა. ბალღების ტირილზე ზოგი მათგანი დამფრთხალი გარბოდა, მაგრამ ზოგი-კი სიმშლით შეფუხებული, პირ-დაღებულნი თავზე წაადგებოდათ, მაგრამ ბალღების ღრიალს მოსისხლე მხეცსაც-კი გულს უღობობდა, ერიდებოდა — გვერდზე გაუვლიდა იგი. რამდენჯერ ორთქლ-მავალივით თვალები შეანათა მგელმა, მაგრამ თავს დაცემას ვერც ის ჰხედავდა.

ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდნენ, ცახცახებდნენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილს მოელოდნენ, საქონელი კი, ოხერი, არსადა სჩანდა. ღონე, ძალი თავის დაცვისა არაფერი ჰქონდათ.

„ჰოი, ლმერთო, ლმერთო!“ წარმოსთქვეს ერთად, ერთ ხმად ერთ დიდის ქანდრის ფესვებში მიკუნჭულებმა: „ლმერთო, გვაქციე ფრინველებად, რომ მალლა, ხეზე, შევაფაროთ თავი, მხეცებმა ველარაფერი დაგვაკლონ. ადვილად მოვიაროთ ეს არე-მარე და მალე ეიპოვოთ საქონელიო.“ სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა.“ ხომ გაგიგონიათ ძველი თქმულება — ამინი დღეში სამჯერ ჩამოივლისო და რასაც იმ დროს ინატრებს კაცი, უნაკლულად ის აუსრულდებაო. „ამინი“ ერთი თვალის დახამხამებაზე ხდება. როცა ვეფხვიამ და მზიამ ფრინველობა ინატრეს, „ამინმა“ ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუებად. ერთმანეთის გამომშვიდობება ვერც კი მოასწრეს. ერთი ერთ მხარეს გაფრინდა, მეორე — მეორეს და შეუდგნენ თავ-შესაფარის ძებნას. დღე დედინაცვლის შიშით ვერ გამოდიან კარში, იმალებიან ხის ფულუროში. სხვა ფრინველებსაც იმიტომ ეჯავრებათ ბუები, რადგან თვის ტომად, თავისიანად არა სცნობენ. ამიტომ ჩვენც, იდამიანები, როცა ერთს



ვისმე აწვალებენ, დასციინიან, სტანჯავენ მრავალნი, ვინმე
 „აიბუეს საწყალი კაციო!..“

ღიად, გაფრინდენ საწყლები სხვა და სხვა მხარეს და
 შეუდგნენ თავიანთ საქმეს—საქონლის ძებნას. რამდენმა ათას-
 მა წელმა განვლო დღესნამდე, ისინი-კი ისევ გულმოდგი-
 ნედ დაეძებენ დანაკარგს, უძახის ერთი მეორეს, ეკითხება:
 „ვერ იპოვეო?“ — „ვერა, ვერაო.“ უპასუხებს მეორე და თავიანთ ამოა შრომას „ვაი, დედიო, ვაი დედიო!“ ამ სიტყვებით აბოლოვებენ ..

III

იოთამი არა სცხრებოდა, გაფაციცებით დაეძებდა შვილებს, იმას საქონელი აღარ აჯავრებდა, არ ვადურჩა გაუჩხრეველი ღრანტობი, არც ხის ძირი, არც კლდის ძირი. ამოიყო ყოველი ცდა, არსად სჩანდა დედა-მიწაზე იმის შვილების კვალი. ღამ-ღამობით განუწყვეტლად ესმოდა ეს საუცხოვო ხმა—ბუების ძახილი; ბევრჯელ ვაის ძახილით თავზედაც გადაუარა ბუმ, მაგრამ ერთმანეთს ველარა სცნობდნენ მამა-შვილები. მთელი ორი კვირა შვილების ძებნას მოანდომა. რასაც კი მტაცებელს ნადირს, თუ ფრინველს შეჭვდებოდა, ისრით გულს უპობდა, ღმერთმანი, ააცდენდა. საოცარი მსროლელი იყო მშვილდ-ისრისა. ერთხელ გაღეშილი, თავ-პირ-დასისხლული მგელი ნახა ტყეში. მაშინვე გულში იმ ფიქრმა გაურა—უთუოდ ჩემის შვილების სისხლით აქვს მგელს ლაშები მოთუზუნულიო. დიდხანს არ ალოდინა, ხელდახელ მოიმარჯვა მშვილდი, გაუღო ისარი და მოსწია ლარსა. ისარი სტვენით წავიდა და ნადირს გულში გაუარა: ასე გულეურად ისარი არასოდეს არ გაუსროლია. „ოჰ, შე წყეულო, შე მოსისხლევ, შენ დასტამე ჩემი შვილები? ჩაეუბნებოდა იოთამი. აღარ აცლიდა ნადირს თავისთავად მომკვდარიყო, ყურები დასტაცა და აითრია, თავში ლურსმებით მოკვდილს ხვედას უშენდა: „მოკვდი, არამზადავ, მოკვდი!“ თან



ხახაში ხელებს უყოფდა. მგელს სიკვდილი არ აქვს, მგელს ნით მუცელი გადუსერა და შიგ ხელებს აფათურებდა, თითქოს ცოცხლებს ამოჰრეკავდა მგლის მუცლიდან თავის შვილებს. როცა ვერაფერი ნიშანი იპოვნა, გაუტყავებელს ნადირს მიანება თავი. წყლულიდან ისარი ამოაძრო, გაწმინდა სისხლიანი წრო (ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა), ჩააგო საისრეში და წავიდა. მეორე დღეს მიეყუდა ბუნაგში ნაწოლს დათეს, — რალაც ცხოველის ძვალსა ჰხრავდა. „შენ დასქამე ჩემი შვილები და ახლა ძვლებსა ჰხრავ, შე მურტალო?“ დათემა მხოლოდ ღრილით უპასუხა, უკანა ფეხებზე შედგა, იოთამის მოსაგერებლად ემზადებოდა, მაგრამ იოთამის წვერმახვმა შუბმა აღარ დააცალა და იქვე სული გააფთხობინა... იოთამმა ძვლებს დაუწყო სინჯვა, მაგრამ, დათვის ნახრავი ძვლები ერთიც არ გამოდგა ადამიანისა. დარწმუნდა, რომ არც მგელს და არც დათეს იოთამთან არაფერი დანაშაული ჰქონდათ, მაგრამ იმათ დახოცვა მაინც არ ენანებოდა...

IV

„რა ვქნა?“ წარმოსთქვა იოთამმა: „მთელი დედა-მიწა გადავქყვენე, გადავქექე, გადავბზარე, კინალამ გადავბრუნე და ვერ ვიპოვე შვილები. ნუ თუ დედა-მიწამ უყო პირი და ქვესქნელს ჩაიტაცა? იქნება ცამ ცაში აიტაცა საცოდავები? აღარ ვიცი, საით წავიდე, აღარ ვიცი, რალა ვქნა? რა წყალს ჩაუდგე? ოხრავდა და ჰბორგავდა; მუხლები ეკვეთებოდა, წელში მოიხარა ასის წლის მოზუცივით. მალ-მალ გიცივით წამოიტყოდა: „ვაჰმე, შვილებო, საწყლებო, უსუსურებო, ჩავდეგ თქვენს ცოდვაში ეს თავ-მკვდარი, ესა!“

კლდეებზე ბლოტიალში ვეფხვს წააწყდა, ერთმანეთი მალე იცნეს. ვეფხვი გულიანად მიესალმა.

— გამარჯობა, ჩემო კეთილისმყოფელო, — მიახალა პირში ვეფხვმა, როცა იოთამისა და ვეფხვის თვალები ერთმანეთს შეჰხედნენ.



— გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ვი-
გამარჯვებას, მე რომ გამარჯვებული ვარ. — სიტყვა გულ-
კენით იოთამმა.

— რაო, რა დაგმართნია? რა ამბავია? რა საქმე წაგიბ-
და ისეთი, აღარ შეიძლებოდეს გამოვაკეთოთ? ნუ თუ ვე-
ლარას ვუშველით, ვერაფერს ვუწამლებთ შენს ვარამს? — წარ-
მოსიტყვა ვეფხვმა და თანაც მოშაფერო სალტებით აქრელე-
ბული კუდი გავაზე შემოიგდო ნიშნად იმისა, თუ შენ რამ
გოკირს მე ხომ არ გამიკირდებო. ვეფხვი ჰფიქრობდა, იქნე-
ბა ველარ მოკლა ნადირი და დახმარებას მთხოვს, ისევე
როგორც წინად დავხმარებდით. მართლაც ამ ვეფხვმა
იოთამს თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა, ზედ შეაგ-
დებდა და იოთამი ისრით ჰხოცავდა. რა თქმა უნდა, იოთა-
მისაგანაც სიკეთე მოაგონდებოდა და სიკეთეს ვეფხვიც სი-
კეთით უხდოდა კლანქიდან იოთამმა ვეფხვს სიპი ქვა ამოუ-
ლო, ისეთ დროს უეჭოა, რომ ვეფხვს აღარ შეეძლო მოძ-
რაობა. იოთამს შველა სთხოვა და ამანაც არ დაიხარა მი-
შველება, ამის შემდეგ დამეგობრდნენ. ამ დამეგობრების ხან-
ში ვაფიშვილიც ეყოლა იოთამს და იმას ახალ მეგობრის
სახელი — ვეფხვია დაარქვა.

— შეილები და ვეკარგე, მეგობარო, უსუსური ბალები;
დღეს ათი დღეა დავეძებ და სრულებით ვერაფერი გავიგე იმა-
თი ვერც სიცოცხლისა, ვერც სიკვდილისა. ვინ იცის, იქნება
ნადირმა დამიქამა შეილები? — მიუგო იოთამმა.

— მე კი ღმერთმა დამიფაროს ადამიანის ლეშს პირი
დავახლო! განა ფიცია საკირო? განა იმ სიკეთის შემდეგ,
რაც შენ ჩემზე დასთესე, შემძლიან-ლა დავახლო ადამიანის
ხორცს პირი, ჰრა მარტო შენს და შენობილისას, არამედ
ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს. სხვა
მხეცებისა რა მოგახსენო, იმათ ვერ დაუფიცავ. ვერ დაუ-
ფიცავ ვერც მგელს, ვერც დათვს, ვერც აფთარს, ვერავის,
ვერა. მე, მეგობარო, სამსახურისთვის მზადა ვარ, არ დავ-



ზოგავ შენთვის ჩემს ჯანს, ჩემს კლანჭებს და თვალსა და ყველა სიკოცხლესაც-კი. წავიდეთ, მივიარ-მოვიაროთ, მოვძებნოთ ან მკვდრებს შევხვდებით ან ცოცხლებს, — უთხრა ვეფხვმა.

მეგობრის ნუგეშიანი სიტყვები იოთამს გულზე მალა-მოდ წაესო. იოთამმა მადლობა გადაუხადა.

— თუ მაგდენს სიკეთეს მიზამ, მეც იქნება ისე არ მოვკვდე არაფერი გარგო, დიდადა ვარ შენგან დავალებული და ეხლა თითქმის ყელთამდე ავივსე შენის დავალებით. ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ჩემის გულისთვის გაირჯები. — უთხრა იოთამმა. წავიდნენ სხვა და სხვა მხარეს და თანაც ის პირობა დადვეს, ამავე ადგილას შაყრილიყვნენ, სცდილიყვნენ ერთი მეორისთვის და გაეგებინათ ერთმანეთისათვის საქმის ავ-კარგი.

ვეფხვი გულმოდგინედ შეუდგა მეგობრის შვილების ძებნას, მოვლო მთელი მიდამოები. იოთამსაც, რა თქმა უნდა, არც დღე ეძინა, არც ღამე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მიაღვა ერთს მდინარეს.

— მდინარევ, მდინარევ, ხომ არ გინახავს ჩემი შვილები, ჩემი შხია და ვეფხვია? ნუ დამიმალავ, სწორე მითხარი? ხომ არ მოსულან შენს კიდებზე? წყალი ხომ არ დაუღვევიათ? იქნება შენ დაარჩევ, მაგრამ რა შვილი მეტყვი! — სთქვა რა ეს იოთამმა, თან შუბის წვერი ჩასჩხვლიტა ერთს დიდ მორევში.

— რასა სჩადი, რას, ეი, ხებრევ, უგუნურო?! — წარმოსთქვა გაჯავრებულმა მდინარემ: — შვილები თავად შენ დაარჩევ და, აქ, ჩემთან კითხულობ? შენს შვილებს რა დაუშავებიათ, რო დავარჩო, ისინი ანგელოზებია, უსუსურნი, უმეტარნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი, დასარჩობი შენა ხარ და, რომ შევიძლებდე, არც დაგზოგავდი, რადგან ღირსი ხარ ამ სასჯელისა.

— რადა? რა დავაშავე? — დაეკითხა იოთამი.



— დანაშაული მეტი იქნება? რად ჩაპყარე ჩემი ხალხები დედინაცვლის ხელში, თუ შენ კაი კაცი ხარ? როცა ის თვალ-ტუტუნა, თმა-გრძელა თავის კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩვე თავიც და თავის შვილებიც.— მიუგო მდინარემ. იოთამმა ხმა გაკმინდა, თავი დაჰკიდა...

— ჰო, ჰო, უთუოდ არა სტყუი, მდინარე, — წარმოსთქვა მან ბოლოს დროს: — ნამდვილად ჩემი ბრალია. მოცი ნუ დამზოგავ, დასარჩობი ვარ, დამარჩე.

პასუხს არ დაუცადა მდინარისას, გადაეშვა პირდაპირ წყალში. წყალმა წაიღო, კარგა მანძილზე ატარა და გარიყა. როდი დაარჩო. იოთამი კვლად გადავიარდა მდინარეში, მაგრამ წყალმა ისევ გარიყა. ასე ცხრაჯერ, თუ ათჯერ გამოირიყული ისევ წყალში ვარდებოდა, მაგრამ წყალი არ არჩობდა, ჰზოგავდა, ენანებოდა. ბოლოს გალუმპულმა, რისხვისგან აცახცახებულმა ერთ გამოქვამულ კლდეს შეაფარა თავი... მოიბუზა კლდის ქვეშ და თანაც მოსთქვამდა: «ვაჰმე, ჩემო შვილებო, ჩემო ვეფხვიავ, ჩემო მზიავ!»...

ულრანი ტყე, უდაბური ადგილი რაღაც ხმაურობამ ააზრილა... მზიავ, ვეფხვიავ!...

— კაცო, კაცო, ადამიანო, რასა სტირი? რას სჩივი, რას დაეძებ? აგერ შენი შვილები, აგერ იმათი ძახილი, ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ რომ შეხვდე, ველარ იცნობ, საბრალოვ! აგერ ერთი ეძახის: «ვეფხვიავ, ვეფხვიავ, ვერ იპოვე?» — ვერა, მზიავ, ვერაო, — მეორე უპასუხებს. — უთხრა კლდემ იოთამს, — ეხლა ტირილით და ჩივილით ვერაფერს უშველი.

— მართალს ამბობ? სწორეა? საწყლები ისევ საქონელს დაეძებენ, რადღა უნდათ საცოდავებს? — სთქვა იოთამმა და თვალეზიდან კრემლების წმენდა დაიწყო.

— მაშ, ვსტყუი? რა საკადრისია. ქვეყანაზე რაც მოხდება, განა მე გამომეპარება? არადროს, — მიუგო კლდემ.



— მაშ, დავიჯერო—გეყურება ჩემი შვილების სკუბაჩუჭუჭი წარმოსთქვა კვალად იოთამმა.

— ნათლად, ცხოვლად, ისევე როგორც შენი საუბარი, გოდება და გულის ტკივილი,—უპასუხა კლდემი.

— არ შეიძლება, გეთაყვანე, გამოელაპარაკო ჩემს მაგივრად, შეატყობინო, რომ მე აქა ვარ და მინდა იმათი ნახვა, ასე დაუძახო: მამა თქვენი აქ არის და თქვენი თვალით დანახვა უნდა-თქო,—შესთხოვა კლდეს იოთამმა.

— სულ ტყუილია, არაფერი გამოვა. ისინი მაინც და მაინც არ მოგვეკარებიან, არც ხმას გაგცემენ; ვერც არაფერს შენ გააგონებ, დავიწყებული ჰყავთ მამა, სიტყვა მამა აღარ არსებობს მიგათთვის,—მიუგო კლდემი.

— მაშ, ნეტავი მეც კლდედ მაქცივა, რომ ჩემი შვილების ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მენუგეშებიანა თავი. ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მაქციე მეც კლდედ.—წარმოსთქვა იოთამმა ხელ-აპყრობით. სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა“. იოთამი კლდედ იქცა, აეტუხა, მიეკრა იმავე კლდეს, სადაც თავი შეაფარა, მხოლოდ იოთამს შეჰჩრა ადამიანის სახე. სდგას თავ-დაკიდებული, გულ-ხელ დაკრფილი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს. როცა გაიგონებს თავის შვილების გულის მომწყვეტილს კვილს, იოთამი—კლდედ ქცეული დაიწყებს გულ-ამოსკენით: „ვაჰმე, შვილებო, ვაჰმე შვილებო!..“


VI

ვეფხვი, იოთამის მეგობარი რაღა იქნა? იჯდა დანიშნულ ადგილას გაუნძრევლად დაყუნთებული და თვალებს აწყალეზბდა მეგობრის მოსავლელ გზასა. ერთს ადგილას იყო ტკიპივით მიკრული, აღარც საკმელი აგონდებოდა ვეფხვს და აღარც სასმელი. მიცემულს პირობას არა ჰღალატობდა, ელოდებოდა თავის კეთილის მყოფელს. უცადა ერთი კვირა, უცადა ორი,—თვე,—ორი, ოთხი, მთელი წელი, ხმებოდა ვეფხვი და დნე-



ბოდა ერთ ადგილას დაკერებული, იოთამი არსად დასჯანდა... ჩამოდნა, როგორც ცვილი, დაელვენთა დედამიწას... ძვლები და ლეშის ნაღვენთისა ამოვიდა დეკა ქუჩად, და-
 ყუნთებულ ვეფხვის სახედ, რომელიც აღარც იზრდება, აღარც
 პატარავდება, არცა ხმება. ვეფხვის მსგავსად ამოსულს დეკას
 მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუქნობე-
 ლი პირიმზე—ყვავილი მთისა.

ვაჟა-ფშაველა





ბებია კაკალი



სე ეძახდნენ ერთს უზარ-მაზარ კაკლის ხეს. იმ სიდიდის კაკალი მეორე არ მოიპოვებოდა საქართველოში. იღვა დიდის ლიხავის პირად გაშენებულ, შშვენეირ, ხეხილით სავსე სოფელ კებეში. სულ სამი დიდი ტოტი ჰქონდა ამოყრილი მის

ბუმბერაზ ღეროსა. ისეთი სხვილი ტოტები იყო, რომ იმ სისხო ხეც არ იღვა კებეში. ერთის ტოტის ღლიის ქვეშ კებვის წმინდა გიორგის თეთრად შეღებილი საყდარი იყო აშენებული და მლოცავთათვის ღამის გასათევი ოთახი. მეორე ტოტ ქვეშ ერთის საწყალის კაცის სახლი და ბოსელი იღვა. ხოლო მესამე ტოტ ქვეშ პატარა მოედანი იყო, სადაც, შვიდ მაისობას, როცა ამ საყდრის დღეობაა, დიდი ლხინი იმართება ხოლმე მლოცავთა. ბებია კაკლის ღერო იმ სისხო იყო, რომ თორმეტი ვაჟკაცი, ხელი ხელ ჩაკიდებულნი, ძლივს შემოსწვდებოდნენ ხოლმე. ბებია კაკლის შესანიშნავ სიდიდისათვის ფრანგებმა ასი თუმანი შეაძლიეს კებველებსა, ოღონდ მოგვაპრევენთო. პარიზის მსოფლიო გამოფენაზე წავიღებთ, ღუნის ხალხს ვაჩვენებთ და გავაკვირებთო. მაგრამ კებველებმა ცივი უარი უთხრეს, როგორ გავბედავთ ბებია კაკლის



მოკრასო. ან რომელმა მარჯვენამ უნდა გაიმეტოს მისი მარჯვენა ხელი და დაიწყო იწყინეს. ასე წლის მოხუცი ეფრემმა ციკლი გამოსულიყო ყვარჯნითა და, კაკლის ძირზე მიყუდებული, გულის წყრომითა ჩიფჩიფებდა, მაგის მოკრა არ გაბედოთო. მის დიდს ამაგს ყველა აფასებდა.

— რასა ბრძანებთო, — ამბობდნენ სოფლელები: სულ მაგ კაკლის ჩრდილში ვართ დაზდილები, მაგის გემრიელ ნიგვზით გამოკვებულები. კირსა და ლხინში იქ ვიკრიბებით, ავსაც იქ ვამბობთ და კარგსაცა. რამდენს მლოცავს აქ ღამე გაუთევეია და ამის ხმელის ტოტებით ცეცხლი დაუნთია და ვახშამი მოუმზადებია. მინდვრიდან და ტყიდან მოსულ დაღალულ მუშას ამ კაკლის ქვეშ, დაუსვენია. სიცხისაგან შეწუხებულს საქონელს აქ, ამ კაკლის ქვეშ მოუწრდილებია და ცოხნა ამოუშვია. ყველიერში ამ კაკლის ტოტებზე ჩამოგვიბამს საქანელა, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, მხიარულად გვიქანავია და გვიხუმრია ჩალიჩი. ზედადგრობანა, რიკტაფელა, ბურთაობა და სხვა სათამაშოებიც აქ გვითამაშნია. ჩვენს გოგოებს მუზიკისა და დაირის დაკვრა და ცეკვა ამ ბებია კაკლის ქვეშ აქეთ ხოლმე გამართული. ეს კაკალი ჩვენი ოჯახია, ჩვენი ბებია კაკალია და არაფრის გულისათვის არ გავყიდითო.

ასე ამბობდნენ კებველები და თავი მოსწონდათ, რომ ასეთი კაკალი ედგათ. მნახვებიც ბევრი მოსდიოდა ბებია კაკალს სხვა და სხვა კუთხიდან. სუყველას უკვირდა მისი გოლიათობა, ბუმბერაზობა. ნასწავლი კაცები ამტკიცებდნენ, ათასის წლისა იქნებოა. კებველები კი ამბობდნენ, არავინ იცის, ეს კაკალი უფრო ხნიერია თუ კებვის ციხე, რომელიც გორგასლანს მეფეს აუშენებიაო.

ბებია კაკალს ეამთა ვითარებისაგან ღეროში ფულორო გასჩენოდა. სწორედ იმ ალაგს, საიდგანაც თავისი სამი დიდი ტოტი ამოეზარდნა, ისეთი ფართე იყო ხის გული, რომ ბავშვები ზედ ავიდოდნენ და ფერხულს დააბამდნენ, თან სიმ-



ღერას ავუგუნებდნენ: „დათვი ხეზე როგორ გავაჯდეთ, ჩემო დათვებო? — ტოტს მოიწვეს, ისე გავია, ჩემო დათვებო! —“
 გილას გასჩენოდა ფულურო. ფულუროში საიდგანლაც ბლის კურკა ჩაეარდნილიყო და ზედ ბლის ხე ამოსულიყო, გაზდილიყო მოზდილი ხე, მოესხა კიდევ ერთხელა, მაგრამ სოფელში არ დააყენა და მოსკრა, ხეზე ხე რომ იზრდებოდეს, ცოდვააო. მერე მწარე ბალიც მოესხა და ძირიანად ამოგდოთ.

ბებია კაკლისგან ხარალი არავის ახსოვს. ისეთი უწყინარი იყო, რომ, ასე გასინჯეთ, დაბერტყის დროსაც კი, როცა მის ქვეშ შრავალი ქალი და ბავშვი ირეოდა და ჰკრეფდა სეტყვასავით ჩამონადენ კაკალს, არავის არ ახსოვს, კაკალი ზედ დასცემოდეს ვისზე. ასე ტკბილად ბერდებოდა.

დაბერდა და აგერ საყდრისკენ გაშვერილი ტოტი ერთ დიდ ქარის დროს შიგ ძირში მოტყდა; მაგრამ ის დალოცვილი ისეთ ნაირად წაიქცა, რომ არც საყდარს და არც ოთახს არაფერი არა დაუშავა-რა. გავიდა მეორე წელიწადი და აგერ მეორე ტოტიც მოშორდა მშობელ ღეროს, ისიც ისე ჩამოვარდა ძირსა, რომ იმ საწყალ კაცის სახლსა და ბოსელს პატარა წკირითაც არ შეჭხებია. დარჩა წრევეანდლომდე ბებია კაკალი ესე ცალ ტოტ გაშვერილი სალხინო მოედნისკენ. წრეულს, შვიდ მაისობას, დიდი ლხინი გააჩინეს კებველებმა და მათმა მლოცავმა სტუმრებმა. არა ნაკლებ ლხინობდნენ იმ ტოტზე დაბუდებული ფრინველები, ჩიტო-ჩიორები, ბუნწვია, ბელურეები და სხვანი, სულ ბებია კაკლის ფულუროებში რომ იჩიკებოდნენ. ეს ერთად ერთი ტოტი კაკალსაც ბევრს ისხამდა. თითქო მოტეხილ ორის ტოტის ძალაც ამ მესამე ტოტს შეემატაო. ძირს კი ცალ გვერდზე ხმობა შეჰპარებოდა. ასე იდგა მოხუცი დასახირჩებული ბებია კაკალი შარშანდელ შემოდგომამდე. მაშინ კი დიდი უბედურება დაატყდა თავს ბებია კაკალსა. დიდი თოვლი მოვიდა. თოვლი სქლად დაედო კაკლის ტოტებზედა. თოვლის სიმძიმეს ვერ გაუძლო კაკალმა

და დაიწყო ფესვებში ყრუ ტყაცა-ტყუცი და მტვრევე დატყუალნი
 ზია კაკალი ნელნელა, დინჯად მიწაზე დაეშვა დილა დადრინდა
 როცა ჯერ გარეთ არავინ გამოსულიყო. დაბერებული ტო-
 ტები ფიფქ თოვლში ჩაიფლო, ჩაიძარხა და მიიღეწ-მოიღე-
 წა. კებველებს ძალიან ეწყინათ მისი ამოვარდნა. ეწყინათ აგ-
 რედვე კებველების მოკეთებებსა და ნაცნობებს, შორეულ
 სოფლებსაც კი, ვისაც ამ კაკლის ქვეშ დროება გაუტა-
 რებია. ნუგეშად ის-ლა აქეთ მის ჭირისუფლებს, რომ იქვე
 ახლო იზრდება თამამად ბებია კაკლის თესლისგან აღმოცენე-
 ბული სხვა ახალგაზდა კაკალი.

ა. მაჩაბელი





ლეგენდა

(საბერძნეთის ძველი თქმულება)



ელიზა ოვეშკოსი

ცირე აზიაში, სამხრეთად, მდებარეობდა ოდესმე ქალაქი ტროა. ამ ქალაქის მეფე იყო პრიამოსი. მისმა შვილმა პარისმა საბერძნეთის მეფე მენელაოსს მოსტაცა კოლი, მშვენიერი ელენე. ამის გამო ბერძნებსა და ტროადელებს შორის ასტყდა ომი. მენელაოსს სწყუ-

როდა დავსაჯა ტროადელები და ელენეც დაებრუნებინა. გაილაშქრეს ბერძნებმა. შემოარტყეს ალყა ტროას. ათი წელი ალყა-შემორტყმული იყო ტროა. ამ ომში მონაწილეობას იღებდნენ საბერძნეთის ყველა საარაგო გმირები: აგამემნონი, მენელაოსი, აქილევსი, ძმები აიაქსები და სხვ. მაგრამ მაინც ვერას გახდნენ, მაინც ვერ აიღეს ტროა. ბოლოს ბერძნებმა ხერხს მიჰმართეს. გააკეთეს ხის ცხენი, შიგ მხედრები ჩასხეს, ცხენი დასტოვეს და თვით ალყა მოხსნეს ქალაქს. ტროადე-



ლებს ეგონათ, რაკი ბერძნები ვერას გახდნენ, სახელდაობლივ მოგვშორდნენო და ხის ცხენი დიდის ამბით ქალაქში შეატანეს. დაღამდა. მხედრები ცხენიდან გამოვიდნენ, ალაყაფის კარები გააღეს და ბერძნის ჯარები შეუშვეს. ბერძნებმა მთელი ქალაქი ნანგრევებად აქციეს, ხალხი ამოკლდნენ და თითონ დაბანაკდნენ. ამგვარად დაეცა ტროა. ვინც გადაჩა, იმათ, ენეოსის მეთაურობით, თავიანთი კერპები გემზე აიტანეს, დააგდეს განადგურებული სამშობლო და შესკურეს ზღვაში ახალ სამშობლოს საძებნელად.

ბევრი თქმულებაა დარჩენილი, როგორც ამ ომისა, ისე ენეოსის მოგზაურობისა. ამ მოგზაურობის ერთი ეპიზოდი არის ეს ქვემოთ მოთხრობილი ლეგენდა, დაწერილი პოლონელ ქალის ელიზა ოფეშკოს მიერ

რამდენმა დღემა და ღამემ, ზამთარმა და ზაფხულმა გაიარა მას შემდეგ, რაც ტროადან გამოსული გმირები უსაზღვრო ზღვის სივრცეში მოგზაურობდნენ; ბევრჯერ დაუდგათ საშიში წამი, მაგრამ არასოდეს ენეოსს და მის ერთგულ ამხანაგებს ისეთი შიში არ გამოუცდიათ, ისე თავს ზარი არ დასცემიათ, როგორც მაშინ, როცა ცეცხლის მფრქვეველი ეტნა დაინახეს.

ამბობდნენ, ღმერთები განრისხდნენ და ეს მთა ტიტანს დაანარცხეს თავზედაო, მაგრამ ასეთის სიმძიმით ტიტანი სრულიადაც არ შედრკა, დედამიწის სიღრმეში შეინძრ-შემოინძრა, ერთი ამოისუნთქა, დედამიწა გააპო და თავის ამონასუნთქი ცეცხლი გაბრაზებულმა ცასა სტყორცნაო. ზოგი აპტკიცებდა, მთის გულში ღვთაებრივ მკვდლის გეფესტის სამკედლოა, სადაც, ციკლოპების დახმარებით, გეფესტი ზევსისათვის ელვასა სჭედს, ხოლო გმირებისათვის—ჯავშანსაო.

ტროადელების გემს ამბობოქრებულ ზღვის ტალღები ნაქუქივით დააქანავებდა. ხან მალლა აისვრიდა, ხან უფსკრულისკენ ჩააქანებდა. იდგა გარშემო ბურუსი; კომლისა და



ფერთლისაგან კაცი ვერას დაინახავდა. კლდეებს ზღვებისაგან ჰქონდა, მათგან მოგლეჯილი ქვები, ვით ცეცხლის ისრები, ვარსკვლავების გულში ჩარჭობას ლამობდა. ვინ მოსთელის, რამდენი განსაცდელი გამოიარეს ტროადელებმა, რა სახით და რამდენჯერ იდგნენ სიკვდილის პირის-პირ, მაგრამ ყოველივე ეს შაქარი და შარბათი იყო იმ თავზარ დამცემ შიშთან შედარებით, რომელსაც დღეს განიცდიდნენ. დღეს ისინი ღმერთებს ჰგმობდნენ: „ღმერთებო, რად დაგვსაჯეთ ასე, რად გადაგვარჩინეთ ცოცხლები, რატომ ჩვენც არა ვწევართ ტროას ნანგრევებ ქვეშაო“, დრტვინავდნენ და ჩიოდნენ ისინი.

განთიადმა მოაწია, სიბნელე გაჰფანტა და ზღვაშიც ნელ-ნელა დამშვიდება იწყო; მაგრამ ტროადელები შიშით ჯერ კიდევ გაფითრებულნი კანკალებდნენ. ბუნების სიმშვიდემ მათ სულს სიმშვიდე ვერ მოუპოვა. მართალია, ერთ განსაცდელს გადარჩნენ, მაგრამ, ვინ იცის, კიდევ რამდენი მოელოდათ, რადგან აღთქმულ ქვეყანამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი დარჩათ! და ტროადელები, განრისხებულნი, სევდით შებოქვილნი, ზიზღით იგონებდნენ იმათ, ვის მეოხებითაც განიცდიდნენ ასეთს ტანჯვას.

დიდსა და პატარას: ბავშვებს, დედაკაცებს, მებღვაურს, რომელიც დაფლეთილ იალქანს მოქანცულ მარჯვენით აკოწიწებდა, მუშას, რომელიც ცულით ხელში ქარიშხლისაგან დაზიანებულ გემს აკეთებდა, გემის მესვეურს, რომელსაც ახლა საკვ ხელში უკანკალებდა, ყველას ერთად აღმოსკდათ გულის სიღრმიდან:

— წყეულიმც იყვნენ ბერძნები! შეჩვენება მათ, ვინც სამშობლო წაგვართვა, ვინც ჩვენს ბედნიერს ქოხში უდაბნოს გრიგალივით შემოიქრა და სიკვდილი და განადგურება შემოიტანა. შეჩვენება მათ, ვის მეოხებითაც დღეს წელები გვეწვის სიმშლით, ვინც დაშუშხა ცრემლებით ტროადელ დედაკაცთა ლაწვნი, ვინც აგვივსო გული ტანჯვა-ვაებით! წყეულიმც იყვნენ ბერძნები!



ასეთი წყევლა-კრულვა, კენესა და გმინვა მოისმოდა გემიდან. გემი კი თავის დაფლეთილ იალქნებით ეგვის ზღვის სივრცეში დაბორიალობდა. აი, ზღვაც ნელ-ნელა დაწყნარდა; განთიადმა მოაწია. მზის სხივმა მის გულს ცეცხლი მოუკიდა. აბჯაროსანი მხედრობა წყევლა-კრულვაში მონაწილეობას არ იღებდა. თვალებზე ფარა აეფარებინათ და უსულდგმულო ქანდაკებასავით ჩაქვავებულიყვნენ. მხედარნი სდუმდნენ, მაგრამ ეს დუმილი, მათნი გალურჯებულნი მაგრად მოკუმულნი ბაგენი, მათი სიბრაზით დაკვრანჩხული მძლავრად ხმაღს ჩველებული ხელები უსაშინელესი იყო ათას წყევლა-მოთქმაზე.

უეტრად გამოჩნდა ხმელეთი.

— ციკლოდა, — დაიძახა მესაკემ.

— თენოსია! — სთქვა მოხუცმა ანკიზმა.

თენოსი უსიერი კუნძულია, ტყეებით დაბურული და ამიტომ მუდმივ ბნელი. იქ, დათვებისა და ციკლოპების გარდა, არავითარი სხვა სულდგმული არ მოიპოვება. მაგრამ ეს რას ჰნიშნავს? კუნძულიდან თითქოს ადამიანის ხმა მოისმის, თითქოს ვიღაც უახლოვდება კიდევ ნაპირს?! რაღაცას იძახის!

— მიშველეთ, წამიყვანეთ! ვინც უნდა იყოთ, ადამიანები ხომ ხართ? შეიბრალებთ ადამიანი!

ნუ თუ ეს ადამიანია? მზისგან გარუჯულ მის სხეულს ძლივს ჰფარავს ძეძენარის ეკლებით ერთი-მეორეზე მიკოსებული ძონძები. ტანზედ მეტად გამხდარია. გრძელი თმა გაწეწილი და გაბურძგენილი აქვს, შიგ გამხმარ ბალახების ღეროები და სუროს ფოთლებია ჩამკვდარი. სწორედ ფაფარ-აშლილ ნადირსა ჰგავს. სიარულში ისეთ-ისეთ კამარას ჰკრავს, თითქო მართლა დაქრილი ნადირიაო. ჯერ დაემზო ზღვის ნაპირას, მერმე დაუკვირდა გემს, რომელსაც ის-ის იყო შველას ემუდარებოდა, და, შეშინებულმა, უკან დაიწია, მიაწყდა კლდეს, და შიშველ ბეჭებით ისე ეხეთქებოდა ზედ, თითქო სწადიან შუა გააპოს და შიგ ჩაინთქასო. მაგრამ, აი, ხელ-ახლო ნაპირს მიაწყდა და დაიღრიალა.



ვაი, ვაი ჩემს თავს! ვიცი, ვინცა ხართ; ტროადელებო, მეგრამ ადამიანები ხართ და შეიბრალეთ ადამიანი!

გემზე ორონ ტრიალი ასტყდა. საერთო ქრიაშულში მხოლოდ ეს ისმოდა:

— ბერძენია, ბერძენია!

უცნობი არაფერს უჭრადლებას არ აქცევდა, მხოლოდ გემს უახლოვდებოდა. აი, მივიდა კიდევ, ხომალდის ქიმს ხელი შოავლო, ავიდა ზედ, დაეცა ძირს, ხელები ცად აღაპყრო, თავი ჩალუნა და დაუწყო ლაპარაკი იმათ, ვისაც სიბრაზით სახეზედ აღმური ასდიოდათ და მის მოსასპობად ხმლები ჰქონდათ ამოწვდილი.

— მე ბერძენი ვარ, ტროადელებო, და თქვენთან ბრძოლაში არა ერთი და ორი გამისტუმრებია გედერის წიაღსა შინა. ამოდ დავმალავდი ჩემს ვინაობას, სულ ერთია, კილო მაინც გამცემდა და ჩემი სილაჩრე თქვენს მძულვარებას ზიზლსაც ზედ დაურთობდა. მამაცობით კი, იმედი მაქვს, მოვიპოვებ თქვენს პატივისცემას. მხოლოდ ამას გეტყვით, ტროადელებო, მე ქვეყნის მფლობელი, მეფე არა ვარ, რომლის ბრძანებით ათასობით ხალხი ბრძოლის ველზე იხოცება. მე აქამეიდი მქვიან; ჩემი წინაპარი მიწის მუშა იყო. ჩვენ იტაკის ნაყოფიერ ქვეყანაში ვცხოვრობდით. ჩემის ქოხის ზღურბლზე მამა-ჩემი ყოველ დილას ღმერთებს მსხვერპლად ერთ მუჭა ხორბალს და უცეცხლო თავლს სწირავდა. ჩვენს კარმიდამოს მშვენიერი მუხნარი ჩრდილავდა; აქ ჩემი დედა რკოს აგროვებდა, კარ წინ მწვანე მდელიოზედ ანკარა მდინარე მიიკლაკნებოდა. ამ მდინარიდან ჩემი დები კოკებით წყალს ჰზიდავდნენ. ჰოი, დაბალო, ბნელო და ნახევრად დამკილულო ჩემო სახლის კედლებო, ჩემო მამის ქალარავ, დედის მშვიდო სახევე, დების უმანკობავ! ჰოი, ჩემო კეკლუკო სამშობლო ქალაკო, დედი ჩემის დგიმსავარცხელო, ჩემის დების თეთრო მტრედებო! ჩემო საყვარელო მურიავ, ჩვენის ოჯახის ერთგულო დარაჯო! რა შორსა ვარ ახლა თქვენგან! როცა ჩვენ-

მა მეფემ, ჩვენი ავლადიდებისა და ჩვენის ნება-სურვილისა: ბატონ-პატრონმა ულისმა იტაკის ახალგაზრდობა სამომხად გაგვიწვია, მამამ ღმერთებს მსხვერპლი შესწირა; დედამ თმა ცრემლებით დაშინა, თმა გაწეწილი დები მწუხარებით ხელებს იმტვრევდნენ. ჩემი ერთგული მურია? კჳ, დიდ ხანსა მდია, ხელები დამილოკა და ნალვლიანი შინისკენ დაბრუნდა. ათი წელი ტროას ზღუდებთან გავატარე. ომი ბერძნებმა მოიგეს. ომის შემდეგ ულისი ეგეის ზღვაში მოგზაურობდა. უბედურის შემთხვევით მე ამ უსიერ კუნძულზე დავრჩი.

აი, როგორ მოჰხდა ეს ამბავი: როცა გემი შეაჩერეს აქ, მე წყურვილით სული მეხუთებოდა და წავედი მდინარის ან წყაროს საძებრად. შეუმჩნეველად ძალიან შორს წავსულავი. როცა დავბრუნდი, ჩვენის გემის იაღქნები შორს, ცის დასავალთან-ღა მოსჩანდა. ოჰ, ღმერთებო, ნუ თუ მოიძებნება ისეთი სიტყვები, რომლითაც შეიძლებოდეს საესებით ჩემი იმ წუთის განწირულების გამოხატვა!? არ ვიცი, რამდენჯერ ჩავიდა და ამოვიდა მზე, რამდენჯერ გადაეფარა ბნელი ზეწარი დედამიწას მას შემდეგ, რაც აქა ვარ. ვიცი მხოლოდ, ტროადელებო, რომ დიდი ხანია!! ჩემი ბინა გამოქვაბულია, საზრდო—ბალახის ძირები და მინდვრის ხილი. მწყურიან ადამიანის ხმის გაგონება და მის მაგივრად მესმის დღე და ღამ დათვის ბურღლუნი და სხვა მხეტთა ღმუილი. ცეცხლი ისე მინდოდა, როგორც შეცივებულ ბავშვს დედის თბილ მკერდზე დაკონება; აქ კი ცეცხლს მხოლოდ მაშინ ვხედავდი, როცა ზევსი ქექა-ქუხილს გამოუგზავნიდა ამ უსაზღვრო ზღვის სივრცეს და ცამდის თავ-აბჯენილს სალს კლდეებს. საკვირველია, რა ძლიერებით მიუჯაკვავთ ღმერთებს ადამიანი სიცოცხლეზე! მიკვირს, რატომ ვერ შევძელ ერთბაშად მომესპო ჩემი არსებობა: ან მეხისტვის შემეშვირა თავი, ან ამ ტალღებში ჩამენთქა ჩემი დღენი. მწყურიან სიცოცხლე, მინდა კიდევ ვიგემო ამ ქვეყნის სიტკობება; მინდა სამშობლოში დავბრუნდე და ნაცნობ ბილიკით ჩემს ქოხში შევიდე. ოჰ, ხალხნო, დაივიწყეთ, რომ



ბერძენი ვარ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინ სამშობლოში მოწყვეტილი ბავშვი სდგას. მომაშორეთ ამ ტანჯვის ადგილს, წამიყვანეთ იქ, სადაც ადამიანები სცხოვრობენ. თქვენ გახდებით ჩემი სათაყვანებელი და სადიდებელი!

ბერძენმა გაათავა. სდგას უძრავად, თავ-აუღებლად. რა მოელის? მახვილი გაჰგმირავს, თუ შეწყალების ხმა შემოვსმის? შეიქნა ხმაურობა! მოწყალების ხმა არ ისმის! მესვეურებმა საკვები მოიმარჯვეს, დედაკაცებმა ხელები ამართეს, მხედრებმა ხმლები ამოიწოდეს.

— დავივიწყოთ, რომ შენ ბერძენი ხარ? — დაიღრიალა მამაცმა ლელექსმა: — იმ არწივებმა რომ სწიწქონ ჩემი ტვინი, რომელიც ამირანს ჰგლეჯდა გულს, მაინც არ ამოიფხვრება ჩემის გულიდან მოგონება იმისი, რაც ჩვენ ბერძენებმა დღე დავაყენეს

დაღვრემილ ფელალონს მთელ მოგზაურობაში ერთი კრინტი არ დაუძრავს და ახლა-კი გაბოროტებული ხარხარებდა.

— ჰმ, გესმის სამშობლო მიწავ, გესმის? ტროას შვილების წინაშე ბერძენი ლაპარაკობს, ჩემს სამშობლოს მომაშორესო. ჩვენი, ჩვენი სამშობლო სადღა არის? როცა ამ მახვილს ჩაგვცემ გულში, მაშინ სისხლთან ერთად ამოჭხეტქე პასუხი იმისი, სადაც არის ტროადელებს სამშობლო!

აგერ ფალავანი ევნალამონი მიუახლოვდა ბერძენს, ამართა ხელები, უნდოდა დაერთყა თავში დაუპატივებელ სტუმრისათვის, მაგრამ უეცრად ისევ შეჩერდა. იფიქრა, მოდი ერთი სასაცილოდ ავიგდებ, გულს ვიჯერებ და მერმე ბოლოს მოუღებო. ადგა, მივიდა, მოწიწებით თაყვანი სცა და უთხრა: რა ღმერთების რისხვამ და ბედის სიმუხთლემ მოგიყვანა შენ, ძღვევა-მოსილ იტაკის შვილი და უძლიერეს ულისის მხედარი? შეწყალება და შეველა გინდა სთხოვო უძღურთა და დამარცხებულთ?

ვიდრე ევნალამონი ასე დასცინოდა ბერძენს, ლამაზი, ქერა ამინტორი ძლივს თავს იკავებდა. იმან ჯერ უკან დაი-

წია; მერე წაღუნა წინ თავი და ბერძენს ძალღივით წარუხუტა. ნი დაუწყო, შემდეგ ერთბაშად შეჰყვირა: აი, ამ ძაღლმა შემიპიკაპი ჩემი შვილი ძმა!—სთქვა ესა, გაფითრებულმა ხელები სახეზე შიფთარა და გულის გასაგმირავი ქვითინი მორთო. პანონიმ რომ თავის საყვარელ ამინტორის ცრემლები დაინახა, წამსვე დაჩოქილ ბერძენს თავზე ხმალი ააპრიალა და პირველმა მან დაიქტა:

— სიკვდილი ბერძენს!

— სიკვდილი ბერძენს!—იგრიალა ხალხმა, დავკლათ ეს მგელი ჰექტორის*) აჩრდილის სამსხვერპლოდ.

მაგრამ ზოგი არა სჩქარობდა სიკვდილით ბერძენს დასჯას, უნდოდათ მეტს ხანს ჰყოლოდათ ცოცხალი, რომ მეტი წამება გამოეტარებინათ. ენოსი ხომ მეტად შემბრალე გულის პატრონი იყო, მაგრამ დღეს მისი ხმა სხვაზე მკვებედ გაისმოდა: „სიკვდილი ბერძენს“-ო.

— შესდექით, ღმერთებს გაფიცებთ, შესდექით! შეაყენეთ თქვენი ხლმები!—გაისმასუსტი, შრომისაგან და ხნიერებისაგან მიზრწნილი ხმა. ამ ხმამ ყველა შეაყენა; ყველამ მორჩილებით მიიხედა იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა. იქ, საკურთხეველთან, სადაც ოდნავ ბეჭტავდა სამსხვერპლო ალი, იდგა მოხუცი. მისი სპეტაკი, გრძელი თმა მის თეთრ სამოსელზე უთეთრესი იყო.

წამსვე ჩამოვარდა მღუმარება. ყველამ დაუშვა ძირს ნელნელა მოღერებული იარაღი; გაისმა საერთო ჩურჩული:—ანქიზი ლაპარაკობს, ანქიზი!

ეს მოხუცი ენოსმა გადაარჩინა ცეცხლსა და მახვილს ტროას განადგურების დროს. ახლა ენოსმა გადაჰხედა ყველას, მოწოდების სახით, თითქო სთხოვს, მოისმინეთ მოხუცის სიტყვა მოწინებითაო. მაგრამ მოხუცი ჯერ არ ლაპარაკობდა. აგერ გამოვიდა, შეეხო ბერძენს და ანიშნა, გა-

*) ჰექტორი—პრიამოსის შვილი იყო; ტროას ერთი გამართავანი.



მომყეო. ბერძენი გაჰყვა. ანქიზმა სამსხვერპლოსთან (მითყუა) ნა. ბერძენმა დაიჩოქა და სასოებით აღაპყრო ხელუბნი! ანქიზმა თავზე ხელი დაადო და სთქვა: ტროას მტერი ვადა- მიცია ტროას ღმერთებზე ს მფარველობისათვის.

ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია პრიამოსის უკანასკნელ წარმომადგენელისათვის?! მხოლოდ უსაზღვრო განცვიფრება კი გამოეხატა ყველას სახეზე. შეიკავეს თავი, გულში ჩაიკლეს თავისი სიბრაზე; მხოლოდ ცეცხლივით აღვზნებული თვალები და მკერდის მოძრაობა ამტკიცებდა, რაოდენ ძნელი იყო მათთვის თავის შეკავება.

ანქიზის ბაგეზე ღიმილი ჰკრთოდა: ასე მხოლოდ ბავშვები და ღრმა მოხუცებულნი იღიმებიან. ანქიზმა დაიწყო:

— როცა ეს ბერძენი დავინახე ჩვენს გემზე და თქვენი მუქარა გავიგონე, მე პაპა ჩემი ლომედონის გამოცანა მომაგონდა. ჯერ კიდევ პატარა ვიყავ, როცა პაპა ჩემმა ეს გამოცანა თავის სტუმრებს მისცა გამოსაცნობად. ეს მოჰხდა იმ დროს, როცა ჩვენ ყველანი სუფრას ვუსხედით. გიჟურ მხიარულებით სტუმარ-მასპინძელი სასახლეს იკლებდნენ. ამ დროს ერთმა ბრმა მომღერალმა ისეთი შაირი სთქვა, რომ ყველა დააღონა, ჩააფიქრა და ჩააჩუშა. რას მოგვითხრობდა ბრმა ამ ლექსში? მოგვითხრობდა ერთ დიდის ხნის მოსპობილ ერის ტანჯვა-წამებას. მერე ჩვენ რამ დავგაღონა? რამდენი ხანია, ეს ერი მოისპო და განა რა ძალაა ის ძალა, რომ დღეს ასეთ ბედნიერების დროს, მათი ტანჯვა კრემლებს გვაფრქვევინებს? სთქვა პირველად დარდანების წინამძღოლმა ილოსმა. ამ გმირის თავი არა ერთხელ ყოფილა დაფნის გვირგვინით შემკული. „რად, რად უნდა გვაღონებდეს იმ ხალხის ტანჯვა, რომელიც ჩვენის წინაპრების შემაწუხებელი მტრები იყვნენ? უნდა გვიხაროდეს კიდევ“, ამბობდა ფიცხი კიტოსი. სიტყვით კი ამბობდა ამას კიტოსი, მაგრამ საქმით სხვა იყო: მხიარულება დაჰკარგა. უნდოდა სავსე ფიალას წასწლომოდა, მაგრამ ხელები აღარ ემორჩილებოდა. ღრმა სევდამ მოიცვა გმირი.



ბოლოს ბრძენი აღქმინენი წარსდგა ლაომედონის წინაშე და მოახსენა: ლაომედონ, 'შენ ყველაზე უხუცესი და უცვლელად განთქმული ხარ გამირობით; შენ, შენ უნდა აგვიხსნა, რად სტანჯავს ადამიანს სხვისი ტანჯვა? რადა ჰღვრის ცრემლს ადამიანი, როცა თავის მტრის შიშვე ხვედრს განიცდის? რად გვასევდიანებს მათი ტანჯვა, ვინც უკვე აღარ არის ამ სოფლად? აგვიხსენი, აგვიხსენი,—სთხოვდა ლაომედონს ყველა: ლაომედონმა უბასუხა იმ გამოცანით, რომელსაც იმ ეხლა ჩემგან გაიგონებთ.

ყველანი, ცნობის მოყვარეობით შებოქილნი, რკალივით შემოერთყნენ ირგვლივ ანქიზს.

— ღმერთებს, როცა ეს ქვეყანა შეუქმნიათ,—დაიწყო კიდევ მოხუცმა,—ისე მოუწყვიათ, რომ ყველა არსებათა შორის მტრობა და შუღლია დათესილი.

ადამიანებს რა ამოაგებს ერთმანეთისაგან? ზღვა და ხმელეთი, სიმდიდრე და სიღარიბე, გენიოსობა და სისულელე, სიკეთე და ბოროტება. ადამიანებს აცალკევებს და ჰყოფს ერთმანეთისაგან გარეგანი შეხედულებაც, სახის მოყვანილობა, გონების ნაყოფიერება, ვნებათა მიდრეკილება. მტრობასა და შურს ადამიანის კანის ფერიც იწვევს. ეს ფერი ერთ ტომს მეორისაგან ასხვავებს და ყველა თავისას აქებს და აღიღებს. ბრძოლას ადამიანთა შორის იწვევს პური, რომელიც ყველასთვის საჭიროა და ყველა სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ირგოს. ყვავილი, რომლის მოგლეჯა ყველას სწადია; გამარჯვება, რომლის შედეგით სარგებლობას ყველა სცდილობს, ხოლო უბედურება, რომელიც ამ გამარჯვებას მოსდევს, თვით აიცილნოს და სხვას არგუნოს. მტრობის და ბრძოლის მიზეზად ხდება აგრედვე ქონება და უქონლობა, იმედი და უიმედობა, ზომა და წონა, აზრი და სიტყვა...

ამ საერთო წიწვა-გლეჯაში, ამ საუკუნო მტრობაში, რომელიც კიდით კიდემდის გამეფებულია, არსებობს მხოლოდ ერთი სარეცელი, რომელზედაც ყველა განისვენებს; არის



ერთი წყარო, რომელსაც ყველა ეწაფება, არის ერთი ყველადაც რომელიც ყველას ბაღში მოდის; არის ერთი პურის რაოდენობა, სადა ყველა იგემებს; აი ეს ერთი რამ არის ყველას შემაერთებელი ძაფი; აი ეს ერთი რამ გვალღვრევენებს ცრემლებს დღეს! ასე სთქვა ლაომედონმა. მე კი ჩემდა თავად დაუმატებ: ეს შემაერთებელი ძაფი, ეს იღუმალი, წმიდა კავშირი იფარავს დღეს ამ ბერძენს მახვილისაგან.

მოხუცმა გაათავა. სამსხვერპლო აღი ოქროს ფრად აშუქებდა მის დანაოკებულ, სპეტაკ სახეს. ბერძენი მუხლ-მოყრილი საკურთხევლის წინ იდგა ტროადელები სდუმდნენ. ამოცანა ვერ აებხნათ. ენოსი, თუმცა ძლიერ მორჩილი იყო მამისა, მაგრამ ამზანაგებზე უფრო თამამი იყო; გაჭბედა, წარსდგა მამის წინაშე და მოახსენა:

— გვაშილვე, დიდებულო მოხუცო, რა ეწოდების იმ წყაროს, იმ ყვავილს, იმ პურს, რომელიც ყოველ სიკვდილის-შვილისათვის საერთოა და ამ წუთში ამ ბერძენს იფარავს მახვილისაგან?

— ტანჯვა! — წყნარად წარმოსთქვა მოხუცმა.

ყველანი მიხედნენ გამოცანის აზრს. მესვეურს საკვ ხელიდან გავარდა, მხედრებმა ამოწვდილი მახვილი ქარქაშში ჩააგეს, დედაკაცებმა სამტროდ მალლა ამართული ხელები ძირს დაუშვეს; იალქანი ააფრიალეს; ნელ-ნელა შესცურა გემმა დაწყნარებულ ზღვის სივრცეში.

უბედურ ტროადელებს თან მიჰყავდათ უბედური ბერძენი!

ლ. ელიავა





საშინელი შეშხვევა

(გ. ა. შანტკეძისა.)



ამდენისამე ბედნიერ შემთხვევის მაღლობელი უნდა ვიყვნეთ, რომ სიმშლით არ დავიხოცენით. და სწორედ იმ დროს, როდესაც ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, თავს საზარელი უბედურება დაგვატყდა. საშუაოს ვეძებდით. კანზახში მოვედით, გავიარეთ ქალაქი სენეკა და დასასვენებლად ქალაში წყაროსთან ჩამოვსხედით.

ერთმა ჩვენგანმა, რომელმაც იცოდა იქაური ენა, წაიყვანა ცხენები იქვე ახლო სოფელში. ქალაში სამნი დავრჩით. ცოტა მოშორებით ტყესა სჩებდნენ „იანკები“. ისმოდა თანაბარი ცულის ცემა.

შემოდგომა იყო. ხეები გატიტვლებული იდგა. ტყე, შრილის მაგივრად, თითქო ავადმყოფივით გმინავდა და გულს აწვრილებდა. გარშემო სამარის დუმილი იყო. ჩიბუხებსა ვწვევდით და ხან და ხან თითო-ოროლა სიტყვას წავილაპარაკებდით...

ჩემმა მეზობელმა რჩინსკიმ უსაქმობის გამო ამოიღო თავისი სულელურად მოწყობილი რევოლვერი. ტყვიის გამოხალღებად ჩახმახს აქერდა ხელს—ტყვია გავარდა და მოხვდა ჩიტს თუ რაღასაც. შეორემაც უსაქმობის გამო სთხოვა, მაჩვენე, როგორ იღებ ტყვიასაო. რჩინსკიმ აჩვენა, მაგრამ



უხერხულად დააკირა ხელი ჩახმახს... რევოლვერმა დაეგდებოდა, უბედური შეათრთოლა, „მომხვდაო,“ სთქვა მშვიდადა და დაეცა... მივცვინდით ყველანი... ჩვენი მეგობარი ძმისავით შეტკობილი, რომელთანაც ყოველივე საერთო გვექონდა, ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვფიქრობდით—გაფითრებული იღო ჩვენ წინაშე. იღო მოკლული მეგობრის ხელით. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა! უცხო ქვეყანა, უცხო ხალხი, რომლის არც ენა ვიცოდით, არც ზნე-ჩვეულება; ამ ხალხს, საექვო კაცებად მივაჩნდით, ვინ იცის, რისთვის გადმოვიარდნილნი მათს უცხო ქვეყანაში!

არავის არ ვიცნობდით ისეთს, რომ ჩვენი მხარე დაეკირა. მივარდნილი ადგილი, თოფის ხმა, რომელიც კარგად გაიგეს ტყის მკრელმმა „იანკებმა,“—ყოველივე ეს, ჩვენი გამამტყუნებელი იყო, ყოველივე ჩვენ წინააღმდეგ ლაღადებდა, თვით ჩვენი შიშით გაფითრებული უძრავი სახეც-კი ჩვენ დაგვდებდა ბრალს.

თითქოს მხოლოდ ერთი გრძნობა-ღა შეგვგრჩა—სურვილი თავის დაცვისა.

—ჩაფულათ, მიწაში ჩაფულათ!—უაზროდ წაილაპარაკა რეჩინსკიმ და თან დაქყეტილი თვალები დამაშტერა.—ჩაფულათ!..

—რას ამბობ, რასა!—გიყვივით ვეუბნებოდით რეჩინსკის, მეც არაფერი შესმოდა, არ ვიცო, რად მოვიტანე წყალი და თავზე ვასხამდი მომაკვდავს.

წარმოიდგინეთ, ყოველივე ესე, რასაც ამდენს ხანს ვიამბობდით, მოჰხდა ერთბაშად, თითქოს დრო არც კი გასულა... ერთის წუთის შემდეგ სულ სხვა იყო, რეჩინსკიმ უიშისოდაც ცხოვრებით დატანჯულმა, მიიღო საფეთქელზედ რევოლვერი, ისევ ისე გაშტერებული მიყურებდა და იძახდა:

—მეყოჟა!.. მშვიდობით!.. მეყოფა!..

მივვარდი, დაუკირე ხელი, ვებრძოდი და ნებას არ ვაძლევდი, თავი მოეკლა. ამ საშინელ ბრძოლის დროს ვავარ-



და ზედიზედ რამდენჯერმე რევოლვერი... ისეთი კეთილი, ისეთი ქალივით ნაზი ადამიანი, როგორც იყო ტრენსკის მესროდა მეცა, თავის თავსაც, ყოველსავე, რასაც კი ხედავდა, მაგრამ ტყვიას აცდენდა, რადგანაც არ უშვებდი მის ხელს... მხეცივით გაშმაგებული სწევდა ჩახმახს, თან მწყევლიდა მეცა და მთელ ქვეყანასაც, რად მიშლი თაჲის მოკვლასაო.

ტყვია გამოილია, თითონაც უცბად შესდგა, მერე დაეცა პირქვე და დაიწყო ქვითინი. თან ეხვეოდა და ჰკოცნიდა მომაკვდავ მგობარს.

სასოწარკვეთილმა ყვირილი მოვრთე. მოვარდნენ ლინვეი, რომელმაც იცოდა ცოტადენი ინგლისური და ტყის მკრელი „იანკი.“ რეჩინსკი ისევ ისე იწვა და ქვითინებდა, მე კი უაზროდ ვბუტბუტებდი: უცაბედად მოუვიდა! უცაბედად!

— სასამართლოში უნდა წავიდეთ, მოქალაქენო, სასამართლოში, — იძახდნენ „იანკები.“

II

მიცვალებული ეტლზე დავასვენეთ და წავედით ქალაქისაკენ. უკან ცხენოსანი „იანკები“ მოგვედევდნენ.

ერთი წინ წავიდა და, ქალაქში რომ შევედით, ყველა იქ მცხოვრები—რამდენიმე ათასი კაცი, დიდი და პატარა,—გზის ორივე მხარეს შეჯგუფებულიყვნენ და გველოდნენ. იმათ შუა საშინლად ნელა მიდიოდა ჩვენი ეტლი.

გაჩუმებული ბრბო გაუნძრევლად იდგა და რამდენიმე ათასი კაცი დაღვრემილის სახით შემოგვეყურებდა... მეტის მეტად ვგაძნობდ იჩვენდამი მოპყრობილ ხალხის ყურადღებას და, რაც შემეძლო, ვაჰყეტდი თვალებს მოჯადოვებულივით. თითქოს ცალცალკე ვხედავდი თითოეულს და ყოველი მათგანი მეუბნებოდა: „მკვლელიო, კაცისმ კვლელიო!“

ეტლი ისევ მიდიოდა, ყველას თვალი კვლავ ჩვენ შემოგვეყურებდა.



იკამდინ შემოიპყრო ამ ყურებაში, რომ მზად ეყრდნობოდა მორჩილებოდი ამ უძლეველ ძალას, უგრძნობლობდა წამომდინარე ვარვიყავი ეტლში, მომეხადნა ქუდი, ოთხ კუთხივ თავი დაშეკრა და სრულიად უდანაშაულოს დამეძახნა: „შემინდეთ, მამატივეთ, მე ვარ მკვლეელი“, მაგრამ ერთბაშად გაშვრალ, გაშტერებულ თვალთაგან წამსკდა ცრემლი და იმან მიხსნა.

შევდგეით. ფიცრულ ოთახში შეგვიყვანეს. მრავალი ხალხი თან შემოგვყვა. ვინც არ დეეტია, შემოსაბაღში შეგვუფდნენ და ჩუმი ჰლექდნენ თამბაქოს.

რეჩინსკი რალაზედაც ჩამოჯდა და ტირილით თავი ჩაპკიდა. ლინევი რალასაც უხსნიდა ხალხს. მე მივეყუდე კედელს და ველოდი, მეც არ ვიცოდი, რას... მგონი ბორკილებსა და დარაჯებს.

უცხად ვიღამაც მეგობრულად მხარზე ხელი დამკრა. მივიხედე და დავინახე, რომ ახალგაზრდა ყმაწვილი მიყურებს და რალასაც მეუბნება დამტვრეულ გერმანულით.

— ბევრი ფული ჰქონდა?

— ფული?

— რა? — ჯერ ვერ გავიგე... გაშტერებული ვიდეკი... ფული? ვეკითხებოდი ჩემს თავს, — რა ფული? მაგრამ ერთბაშად მივხვდი, რასაც მეკითხებოდა. სისხლი თავში ამივარდა, გული შეტკინა, თვალები ამიკრელდა... ბრაზი მომერია... მზად ვიყავი მომეკლა გერმანელი, რომელიც მხარზე ხელის ცემას არ იშლიდა და თან იღიმებოდა. ხელი მოუჭირე რევოლვერს... ერთი წამიც... მაგრამ აქ ვიღამაც მტაცა უკანიდან ხელი. . მივიხედე და თითქმის უგრძნობლად დავეცი ლინევს გულზე.

— რას სჩადი, რას სჩადიხარ! — მიჩურჩულებდა აკანკალებული ლინევი, თან გულში მიკრავდა. ყოველივე შეემჩნია, რაც მოხდა და მაშინადვე აუხსნა ხალხს, როგორც იყო საქმე.

ხალხმა ბუზლუნი დაიწყო და დრტვინვა გაისმა. პა-



ტარა ტანის გამხდარმა ჩხელმა ზეინკალმა კიკით წყველი მუხი
მაწოდა და თან რალასაც ბუტბუტებდა თავის ენაზეც.

შეურაცხყოფისათვის რომ რევოლვერზე ვიტაცე ხელი, ეტყობა, მოეწონა ამ თავისუფალ ხალხს, რომელიც განუშორებლად ატარებს რევოლვერს და არავის აძლევს ნებას შეურაცხყოფა მიაყენოს.

ამ იმბავმა გამომარკვია და გონს მოვედი.

— მოქალაქენო... კონსტიტუციის წესით...

ბრბო განზე გადავა. წინ წამოდგა დამკლავებული, ტყავის წინსაფარით მოსული წვერიანი „იანკი,“ დასავლეთის ნამდვილი ვაეკაცი, რომელიც მხოლოდ მაშინ მოშორდა სამუშაო დაზგას; ხელი მიიღო ქუდთან და სთქვა:

— მოქალაქენო! მე მსაჯული ვარ!

ჩვენც წამოვდექით და ხელები ქუდებთან მივიტანეთ.

— კაცის მოკვლა განზრახვით მოხდა თუ უცაბედათ?

— უცაბედათ! უპასუხა ლინგემა.

— იქნება დუელი იყო, აღკრძალული ჩვენის ქვეყნის კანონით?

— არა, დუელი არა ყოფილა!

— თქვენი იარაღი?

ჩვენ გადავეცით ჩვენი რევოლვერები და სანადირო დანები, ურომლისოდაც ამერიკაში გზად არავინ მიღის.

უნებლიედ ფეხებზე დავიხდეთ, რადგანაც ბორკილებს ველოდი და თან ვათვალიერებდი დარაჯებს.

III

ჩვენ არ ვიცოდით რესპუბლიკის სასამართლოს წესები და გვიკვირდა, რატომ ციხეში არ მიგვათრევდნენ. ლოდინით გული გადაგველია.

რაც იყოს, იყოს!.. ოღონდ კი მალე გათავდეს ყოველივე... მაგრამ არაფერი საშინელი არ მოგველოდა, ციხეც კი არა. თავისუფალნი ვიყავით, მხოლოდ თუ ქალაქს გარედ



მოვისურვებდით წასვლას, უნდა შეგვეტყობინებინათ (შერიფი ფისათვის *). თვალ-ყურის დამკერი მთელი ქალაქი

რამდენისამე ხნის შემდეგ შემოვიდა შერიფი და მოგვ-
მართა:

— მოქალაქენო, რესპუბლიკის სასამართლოში მობრძან-
დით!

არაფერი არ გვესმოდა. როგორ? ჯერ ციხეში არა ვმჯდარ-
ვართ და სასამართლოში მივეყვართ! შევედით იქვე ახლო
სახლში. დიდ დარბაზში აუარებელი ხალხი ჩვენსავით ქუდ
დახურულები ისხდნენ. დარბაზის ბოლოში მოაჯირი მოჩან-
და, რომლის უკანაც მაგიდასთან ქუდ დახურულნივე ისხდ-
ნენ თორმეტი ნაფიცი მსაჯული, მოხუცებული გრძელ თეთრ
წვერიანი მსაჯული, ოლქის ბრალმდებელი და ჩვენთვის და-
ნიშნული ვეჭილი.

ზოგი გაზეთს კითხულობდა, ზოგი თამბაქოს ჰლეკავდა
ან სწევდა. ასე უბრალოდ იყო მოწყობილი „იანკების“ სა-
სამართლო, მაგრამ ამ უბრალოებაში მკაცრ სიმართლეს
ვგრძნობდი. ჩემ წინ მოსამართლენი კი არ ისხდნენ, არამედ
ჩემისთანავე მოქალაქენი, რომელნიც შეიკრიბნენ ადამიანუ-
რად განესაჯათ ჩემი საქმე. გრძელ წვერიანი მოხუცი მსა-
ჯული წამოდგა და გამოგვიცხადა, სასამართლო იწყებს საქ-
მის გარჩევასაო. მერე დაგვეკრთხა, წინააღმდეგნი ხომ არა
ვართ რომელისამე მოსამართლისა და, რა გაიგო, არავის წი-
ნააღმდეგი არ ვიყავით, დაჯდა და იხმო მოწმენი.

დღემდის სასამართლო რაღაც საშინელებად მიმაჩნდა,
ისეთ ადგილად, სადაც ადამიანი კი აღარა ვარ, არამედ მხო-
ლოდ დამნაშავე. აქ მოაჯირ წინ ისეთივე მოქალაქე ვიყა-
ვი, როგორც სხვები; ხსენებითაც ამ სახელით მიხსენიებდნენ.

— დუელი ხომ არ ყოფილა, როგორა გგონიათ? დაე-
კითხა მოსამართლე, როდესაც მოწმემ გაათავა ჩვენება.

*) შერიფი მსაჯულია.



ხალხი სულ-განაბული ელოდა პასუხს. მე საშინელად მკვრივად გულში მოწმემ თავი ჩალუნა, ერთს წამს ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა აიღო და მშვიდობიანად სთქვა:

— ჩემის აზრით, შემთხვევით მოჰხდა ეს უბედურება და არა წინადგანზრახულობითა.

— თქვენ რაღას იტყვიან?— მიუბრუნდა ბრალმდებელი მეორეს.

— მე მგონია, მაგის პასუხი მე კი არა, თვით სასამართლომ უნდა სთქვას.

— მართალია!— ხალხმა და მოსამართლეებმა გაიღიმეს.

— მოქალაქე ლინ... ლინ... ლინი... სცდილობდა წაეკითხა მოსამართლეს უცხოელის გვარი.

ლინევი მოაჯირს იქით შევედა, სკამზე ჩამოჯდა და ქუდი მოიხადა.

— მოქალაქე, — უთხრა მოხუცებულმა მოსამართლემ, — რად მოიხადე ქუდი, ეგ ჩვენი შევიწროვებაა, რადგანაც აქ ყველანი ქუდ დახურულნი ვსხედვართ.

— მინდოდა პატივი მეცა სასამართლოსათვის, — უპასუხა დარცხვენილმა ლინევმა.

— სასამართლო უმაგისოდაც დარწმუნებულია, რომ ყოველივე მოქალაქე პატივსა სცემს სასამართლოს. მაშ, ნუ მოგვახდევინებთ ჩვენც ქუდებს და თქვენც დაიხურეთ.

ევროპიულის მოთაკილეობისა და მოგონილ ზრდილობისა გამო ბევრჯელ გვასწავლეს ამერიკაში ასე ჰქუა.

გაწითლებულმა ლინევმა უამბო ჩვენი თავ-გადასავალი ყველანი დიდის ყურადღებით უსმენდნენ ლინევს და თან გვათვალთვლებდნენ.

ლინევი დამტკრეულის ინგლისურით უამბობდა სასამართლოს საქმის გარემოებას. მე ძლივს მესმოდა ნალაპარაკების აზრი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უცხო იღარ ვიყავი ამათვის; ახლა ისინი მიყურებდნენ, როგორც ადამიანს, და ეკ-



ვიც თანდათან შორდებოდათ .. გაბედვით შევედით მთელი მსოფლიოს იქით და თვალეებში შევხედე მოსამართლეს.

— თქვენ ცუდად ლაპარაკობთ ინგლისურს, მგონი, თარჯიმანია საჭირო.

— დიად, ბატონო.

მოსამართლეს თვალეებში შევეყურებდი და ისე უამბობდი. გერმანელი უთარგმნიდა. საქმე რომ რევოლვერზე მიდგა და თარჯიმანმა დაუწყა ახსნა იმის მომართულობისა, ხალხში გაისმა „პორ!“ და ვიღამაც ხელი მაღლა ასწია.

— რა გნებაეთ, რა ამბავია?—დაეკითხა მოსამართლე.

წინ წამოდგა ჩებელი ზეინკალი, რომელმაც ამას წინად წყალი მომაწოდა.

— მოსამართლევ!—უთხრა იმან, მოვალე ვარ მოგახსენოთ, რომ თარჯიმანმა ვერ გაიგო ნათქვამი და არც იცის ამ რევოლვერის მომართულობა. მე ზეინკალი გახლავარ.—სთქვა ესა, აიღო რევოლვერი ხელში და შეუდგა ახსნას.

— რომელია მართალი?—დაეკითხა მოსამართლე ლინევს.

— უკანასკნელი, ბატონო.

— ძალიან კარგი! აბა, ექიმო, ეხლა თქვენი ჯერია.

— ექიმმა მისცა ჩვენება მიცვალებულის შესახებ.

რეჩინსკის რიგიც მოვიდა. საწყალი მთლად გაფითრებული შევიდა და დაეშვა სკამზე.

— მეგობარი ხართ მიცვალებულისა?

— დიად!

— უცაბედათ მოჰკალით?

— დიად!

ბრალმდებელსაც უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ერთმა მსაჯულმა სიტყვა გააწყვეტინა და წარბ-შეკრულმა წარმოსთქვა:

— არ სჯობიან, მაგ კითხვის მაგივრად, წყალი მიართვათ მოკალაქეს?! ხომ ჰხედაეთ, საცაა გული შეუწუხდება!



ბრალმდებელმა მიაწოდა წყალი და აღარაფერი უთქვამს ხეის. მოსამართლე წამოდგა.

— გადით! სასამართლო საქმის გადაწყვეტას შეუდგება.

სულ არ გასულა ნახევარ საათი, რომ ისევ დავბრუნდით დარბაზში. ყველანი დაშტერებით იყურებოდნენ მოაჯირისაკენ, სადაც ისევ ისე დამშვიდებულნი ისხდნენ მოსამართლენი. მე სული მეხუთებოდა, რეჩინსკი ძლივს იდგა ფეხზე. მსაჯული წამოდგა და აიღო ქაღალდი.

— თავისუფალ მოქალაქეთაგან შემდგარმა რესპუბლიკის სასამართლომ, რა გაარჩია საქმე, დაადგინა: ეს კაცისკვლა მოხდა ღვთის განგებით ან უცაბედის შემთხვევით: ვისაც როგორ სურს, ისე იფიქროს, მოქალაქენი-კი თავისუფალნი არიან ყოველ ექვისაგან.

ჯერ სიტყვა არც-კი დაეთავებინა, რომ მთელმა დარბაზმა დაიგრიალა: „საუცხოვოა, საუცხოვო!“

მსაჯულმა მოიხადა ქუდი და ხელი ჩამოგვართვა; ასევე მოიქცნენ ბრალმდებელი, ნაფიცნი მსაჯულნი და შემდეგ ხალხი.

ათასი ერთად გვიწვდიდა ხელს და აღერსით შემოგვყურებდა.

ეს იყო საჯაროდ აღდგენა ჩვენის უფლებებისა და მოქალაქობისა.

ეს წამი ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

ყველა თავისთან გვეპატიებოდა, ასე გულწრფელად, რომ ტირილი მოგვივიდა.

გამოთხოვების დროს მსაჯულმა მკითხა, ვისის ხარჯით დავასაფლავებთ მიცვალებულს და, რა გაიგო, რომ ჩვენ ვიტვირთეთ ხარჯი, სიამოვნებით გამოგვიცხადა, თქვენ ასრულებთ ჩვენს ძველს ჩვეულებასაო. ამით ქვეყანაში მოკლულს ამხანაგები ასაფლავებენ. „ჩვენ ერთი ჩვეულება-ცა გვაქვს, განაგრძო მსაჯულმა, ჩვენი ხალხი არას დროს არა სტოვებს უღარაჯოდ მიცვალებულს... მეგობრები უღარაჯებენ ხოლ-



გათენდა თუ არა, ღინვეი ცხენებთან წაყვდა ჩინსკი კი საფლავის გასაქრელად გავემართენით.

ბურუსიანი დღია გათენდა. სასაფლაო მიყრუებულ ალღას იყო. გაყინულ მიწას წერაქვს რომ ვცემდით, უცნაურად გუგუნებდა. რეჩინსკიმ ვერ აიტანა, დაადლო წერაქვი და მოჰყვა ქვითინს.

— არ შემოძლიან! — იძახდა ქვითინით.


მე განვაგრძობდი თბრას, თუმცა ძლივს-ლა ვიმაგრებდი თავს. ცოტა ხანს შემდეგ მეც დავიღალე და აღარ ვიცოდი რა მექნა. დასასვენებლად რომ შევდექი, დაინახე ჩვენკენ მომავალნი წერაქვებით. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მომავალთა შორის დაინახე მსაჯული, ბრალმდებელი, ბანკირი, ნაფიცო მსაჯულები და სხვა


— დილაშვიდობისათ, მოქალაქენო! საშველად მოვედით.

ხელ-ფეხი ამიკანკალდა. ამ ხალხის თანაგრძნობამ და ყურადღებამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დავაგდე წერაქვი და რეჩინსკისავით ქვითინს მოვეყევი. საფლავი ჩქარა მზად იყო, მიცვალებულიც მოასვენეს. ვინ აძლევდა განკარგულებას, არ ვიცი, მხოლოდ ანგარიშში ფასები დაკლებული იყო, მეკუბოემ კი სულ არ აიღო ფული.

მხოლოდ ახლა მივხვდით, რა გულის ხალხია ეს გარეგნობით უღმობელი, ვითომ გულ-ცივი, გულ-მშრალი „იანკები“, შევიგნეთ, რაოდენი ადამიანობა, ზდილობა, კაცთმოყვარეობა და გამოუთქმელი სიკეთე იყო დაფარული მათ შორის!.. გავიგეთ და შევიყვარეთ აშერიკელები და მათი თავისუფალი ქვეყანა! .

თ. ბ.





მგლის ცრემლები



ხვის შვილად გაზრდილ ჩობანსა¹⁾
ფარა ერთიან გაუწყდა
და სახლში გამობრუნება
ხელ-ცარიელას მოუნდა.

მოდის შინისკენ და პირი
არ გაეხსნება დანითა,
ისეთი ნალვლიანია,
ისე მოკლული ვარმითა.

შემოეყარა წინ მგელი,
სალამი მისცა ძმობითა
და უთხრა სამძიმარიცა,
როგორც წესია, გრძნობითა.

თან თვალებიდან მსხვილ-მსხვილი
კრემლები ჩამოსდიოდა;
მაგრამ გამოცდილ ჩობანსა
მგლის სიტყვა არ მისდიოდა.

მის კრემლზედ უნებურადა
მეცხვიარეს პირმა შესცინა

¹⁾ „სხვის შვილი“ — მოჯამაგირე.



და თავის კირისუფალსა
 გამოცხადებით დასცინა:

„ერთი ეს მითხარ, გეთაყვა,
 მაგრე რომ იცრემლებიო,
 რა არის მაგის მიზეზი —
 ის, რომ შე გებრალებიო,
 თუ ის, რომ უცხვროდ თვითონ შენ
 შიმშილით გადაპლრძებიო?“ *)

ბაჩანა.



*) „გადაპლრძებიო“ — მოჰკვდებო.



კარტოფილი

(თარგმანი)



III

სე გაქირვებით ვრცელდებოდა კარტოფილი უცხო ქვეყნებში.

რუსეთის მიწის დამორჩილება, რუსის გლეხისათვის სახმარებლად გახდომა უფრო ადვილი როდი იყო კარტოფილისათვის.

ას ორმოცდა ათის წლის წინად, პეტერბურგის მხოლოდ რამდენსამე ბაღში მოიკალათა კარტოფილი. იმ დროს რუსეთის დანარჩენს ადგილებში მცხოვრებს ხალხს არავითარი ახლად შემოდებული უცხოური თვალში არ მოსდიოდა. არც კარტოფილის მოყვანა იზიდავდა.

როგორც სხვა ქვეყნებში, ისე რუსეთშიაც შიმშილი გამოესარჩლა აბუჩად აგდებულს კარტოფილს. 1765 წელს ფილიანდიის გლეხთა შორის შიმშილობა გაჩნდა.

ამ დროს ეკატერინე მეორე მეფობდა. ერთმა დაახლოვებულმა პირმა, ჩერკასოვმა, მოახსენა იმპერატრიცას, საუკეთესო საშუალება შიმშილის წინააღმდეგ „მიწის ვაშლის“ დათესვაა, ესე იგი კარტოფილისაო. იმპერატრიცამ ბრძანება გაუგზავნა ყველა გუბერნატორებს, რომ კარტოფილის თესვას შესდგომოდნენ გლეხები.

იმ დროს პეტერბურგში ცხოვრებდა განაპირა ჩრდილოეთის გუბერნიის—არხანგელსკის—გუბერნატორი. არხანგელსკში დიდი სიცივე იცის და ამიტომ პურის მოსავალი ვერ ხეი-



რობს. გუბერნატორმა ერთი ტომარა კარტოფილი გავყავინა და თავის გუბერნიაში. ეს ერთი ტომარა კარტოფილი კაცს გაუყვეს. ამასთანავე მთავრობამ თავის მხრით დაურთა სხვა და სხვა გუბერნიებს კარტოფილი. აქედან არხანგელსკსაც ჰხვდა ექვსი ბოჩკა კარტოფილი, თითოეული ბოჩკა ოთხ ფუთიანი.

აქედან ყოველს ას სულზე თითო გირვანქა მოვიდა... ცოტა იყო, მაგრამ ხალხი რომ გულით მოჰკიდებოდა საქმეს, წლითი წლობით ამ ცოტათიც გაავრცელებდნენ კარტოფილს.

მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ხალხი სიყვარულით არ მიეგება ამასა, უხალისოდ რგავდა, თითქო რამე სავალდებულო ბეგარას იხდისო. სამაგიეროდ ყოველის მხრიდან მოხსენებანი მოსდიოდა გუბერნატორს: „ნებითა ღვთისათა, ერთი ვაშლიც არ მოსულაო.“

ცოტა არ იყო უფიცი ხალხი, რომელსაც ყველაფერის „ახალისა“ ქეშინოდა, „ცოდვიანად“ სთვლიდა ყველაფერს უცხო ქვეყნიდან შემოსულს, ყოველსავე მას, რაც იმათს მამა-პაპათ არა სკოდნიათ. ამასთანავე ცოტა კარტოფილი არ გააფუჭა იმანაც, რომ გლეხებს. კიდევ რომ სდომებოდათ, ხეარიანად არ გაეგებოდათ, როგორ უნდოდა კარტოფილის ჩარგვა. ზოგს მართლაც უნდოდა ახალ „მცენარის“ მოშენება, მაგრამ გასაგებად ვერ აუხსნეს—საიდან გამოეღოთ დასათესი თესლი, ან როგორ მოქცეულიყვნენ.

ასე უნაყოფოდ მიდიოდა ათეული წლები ნიკოლოზ პირველის გამეფებამდე.

იმ დროს პეტერბურგის მიდამოებში ბევრი გერმანელთა მოსახლეობა—ახალშენი იყო. გერმანელებს დიდის ხნიდან მოჰყავდათ კარტოფილი. გაიგეს ახალშენელთ, რომ იმპერატორ ნიკოლოზს ჰნებავს არხანგელსკის გუბერნიაში კარტოფილის გავრცელებაო.

— ჩვენ მზადა ვართ შორს მხარეს წავიდეთ, მზადა ვართ რუსის გლეხებს შევასწავლოთ კარტოფილის მოვლა-მოყვა-



ნა, — სთქვეს გერმანელებმა, — მხოლოდ ხაზინამ მოგვეცა წასვლა-წამოსვლის ხარჯიო ამასთანავე მოგვეცეს მუქთა-ხანდციქულები, შეშა, განათება, ურმები, მარხილები, აგრედვე სახნავი იარაღები რაც დაგვეჭირდება, და თითოეულს ათას-ათასი მანეთიო.

ძვირი საფასური მოითხოვეს გერმანელებმა, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს მიეცათ მათთვის, რასაც თხოულობდნენ, თუ ამისათვის საჭირო ფული ქველმოქმედთა შორის მოგროვდებოდა. ქველმოქმედნიც აღმოჩნდნენ.

— ახალშენელები ჩვენს საცოდავს გლებებს აჩვენებენ, სად და როგორ მოიყვანონ კარტოფილი, როგორ მოუარონ და ამ კეთილის საქმისათვის ფულის გაღება ჩვენთვის სამძიმო არ არისო, — ამბობდნენ ქველმოქმედნი.

გერმანელებმა რომ ნახეს, საქმე კარგად მიდიოდა, ჩაფიქრდნენ: ცოტა ხომ არ მოვითხოვეთ? და დიდი ფული მოითხოვეს. — ვერ იშვინიეთ კარგს პირობებზე დათანხმება და ახლა შინ ბრძანდებოდეთ, უთქვენოდაც გაეძლებთო, — უთხრეს გერმანელებს.

ფული მისცეს ერთს მცოდნე კაცს, რომელსაც ინგლისში ჰქონდა შესწავლილი მიწათმოქმედება, და ეს გაპზავნეს არხანგელსკის გუბერნიაში.

ამ კაცმა ორის წლის განმავლობაში 34 ცალი (ჩეთვერთი) კარტოფილი მოიყვანა. ეს 34 ცალი (ჩეთვერთი) კარტოფილი რვა ათას მანეთად დაუჯდა ხაზინას.

სათესლე კარტოფილს მუქთად ურიგებდნენ გლებებსა. ვინც ნაყოფიერად უვლიდა კარტოფილს, ჯილდოს აძლევდნენ.

მაგრამ ზოგიერთ ქალაქებიდან მაინც მოდიოდა მოხსენებანი: „აქაურს ქალაქებში კარტოფილის მოშენებას საჭიროდ არა სთვლიან მცხოვრებნი, პირიქით, მძიმე ტვირთად მიაჩნიათო.“

ამ გვარად არხანგელსკის გუბერნიაში, თუმცა სწრაფად ვერა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა საქმე. 1842 წელს არხან-



გელსკის გუბერნიაში უკვე ოცდა ხუთი ათასი ცალი (მეტეხუთასი თი) კარტოფილი მოიყვანეს. კიდევ მადლობა ღმერთს!

ცოტ-ცოტაობით სხვა გუბერნიებშიაც გაერცელდა კარტოფილი თუმცა, როგორც გერმანიასა და საფრანგეთში, ისე რუსეთშიაც თავდაპირველად მთავრობა უწყობდა ხელს კარტოფილის გაერცელებასა. აერცელებდა თითქმის ძალად და დიდი წინააღმდეგობაც ჰხედებოდა.

1839—1840 წლებში რუსეთის რამდენიმე გუბერნია დაიშმა.

რათა მომავალში სიმშლით არ ამოწყვეტილიყო ხალხი და პურის საბადლო ჰქონოდა რამე, იმპერატორმა ნიკოლოზმა შემდეგი ბრძანება გასცა:

1. დასთესონ კარტოფილი ყოველს სოფელში, საცა საზოგადო სახნავი ადგილებია, ამასთან ყოველ საყანე მინდვრიდან გამოჰყონ იმდენი მიწა, რამდენიც საკმაოა, რომ თითო-თუღს სულს ნახევარი ცალი კარტოფილი შეხედეს.

2. საცა საზოგადო სახნავი მიწა არ არის. იქ კარტოფილი დასთესონ სოფლის სამმართველოსთან მდებარე საზოგადოებისაგან მიჩენილს ერთს დესეტინა ადგილზე.

ყველა ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლო საშუალება იყო, მაგრამ დასაწყისში ძალიან უგულოდ დაჰმორჩილდნენ ამას გლეხები. მაგალითად, ვიატკის გუბერნიაში კინალამ პირდაპირ უარი სთქვეს გლეხებმა კარტოფილის მოყვანაზე. დიდხანს ეჩიჩინებოდნენ მთავრობის მოხელენი და მღვდლები... მაგრამ ამაოდ! მხოლოდ დიდის მღვლეარების შემდეგ დასთანხმდნენ, როგორც იყო.

დიდმა ღრომ განვლიო, ვიდრე გლეხები თავის ნებით დაიწყებდნენ ყველგან კარტოფილის თესვას და ვიდრე იმის სარგებლობასა და ოჯახში აუცილებელს საკიროებას შეიგნებდნენ. ჯერ ისევ 25—50 წლის წინად ბევრგან მოხუცებულნი ცოდვად სთვლიდნენ კარტოფილის ჰამას და „მიწის ვაშლს“ კი არა, „ეშმაკის ვაშლს“ ეძახდნენ. მაგრამ თანდა-



თან გავრცელდა იგი. ეხლა მთელს რუსეთში სქამენ კარტოფილსა და ერთი უმთავრესი საზრდოა იგი რუსის [გლეხებს]

კარტოფილის თესლთან ერთად გლეხებს ურიგებდნენ კომბოსტოსა, კარბლისა, სტაფილოსა, ხახვისა და ნიორის თესლსაც. არც ეს მცენარეები მოიპოვებოდნენ ამ ასის წლის წინად გლეხთა ბოსტნებში.

მხოლოდ ეხლა ჰყვირობს ადამიანი, როგორ მოჰხდა, რომ ჯერ ისევ ასე ახლო წარსულში უკომბოსტოთა და უკარტოფილოდ ცხოვრობდა რუსის ხალხიო!

IV

კარტოფილი

ეხლა ყველამ იცის კარტოფილი.

რამდენიმე ღერო,—თორმეტიდან თექვსმეტამდე—სხვადასხვა სიმსხოსი ამოდის მიწიდან. ეს ღეროები დაფარულია მოგრძო თავმორგვალელების დაკმუქნულის ფოთლებით. ხუთ ფოთლიანი ყვავილები ხუთიდან ხუთმეტამდე ყოველს ღეროზე თაიგულივით ამოსული. ყვავილი ზოგი თეთრია, ზოგი ცისფერი, ზოგი ლურჯი და ზოგიც ვარდის ფერი. ყვავილი რომ ჩამოსცივდებოდა, იმის ადგილას მწიფდებოდა სათესლე ვაშლი (ანუ კოკორი), რომელიც ჯერ მწვანეა, მერე მქრთალ მოყვითანო ფერს იღებს. გული ხორციანი აქვს და კანაფის თესლივით ზეთიანი მარცვლები უზის შიგა.

ძირში მიწის ქვეშ, ან ზოგის ჯიშისას კარგა მოშორებითაც, გამოესხმება ხოლმე მოგრძო ფესვები და აი ამათზეა მოსხმული დიდრონი მომრგვალო ან მოგრძო კარტოფილები. აი ესენი შეადგენენ „ნაყოფს“, რომლისთვისაც შრომობს კაცი. არის კარტოფილი მუხუდოსოდენა, მუშტისოდენა, ხან უფრო დიდიც, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად როგორი ჰავაა, რა ჯიშისაა, როგორი ამინდი დაუდგა, ან როგორს ადგილას იზრდებოდა და რა ნიადაგი ჰქონდა. ამას წინად ამერიკის ერთს ბაღში უზარმაზარის სიდიდის კარტოფილი



გაიზარდა: ერთი არშინი სიგრძე ჰქონდა და ნახევარს მარჯვენა სიმსხო. ორ ფუთსა და ნახევარს იწონიდა ეს კარტოფილი, ასე რომ ერთს კაცს არც კი შეეძლო იმისი აღვილად აწევა და მხარზე გადება. ამ კარტოფილის შიგნითა გული მაგარი იყო, თითქო გახევებულაო, საკმელად უვარგისი. ეს კარტოფილი წვრილად დასქრეს ჩასარგავად. თითო ნაქერ კარტოფილისაგან ხომ თითო ბუჩქი ამოვა, ოღონდ „თვალი“ ანუ ნაჩვრეტი კი შერჩენოდეს ამ ნაქერსა.

თვალი ანუ ნაჩვრეტი ეწოდება იმ პატარა ჩაღრმავებულს ფოსოს, რომელიც აღგილ-აღგილ აქდევია კარტოფილს. ესენი იგივე სანაშენო კოკრები, ანუ კვირტებია.

ღირსებით კარტოფილი ბევრგვარია. ეს იმითი იცნობა, თუ რამდენი ღეროიანია (მაშასადამე სიმაღლით); იცნობენ ყვავილის ფერით; იცნობენ მოდგმით (შინაურულია თუ სხვაგნებური: ინგლისური, ამერიკისა, ირლანდიური და სხვა).

შებედულობით (მრგვალი, ბრტყელი, გრძელი, მრუდე, წოწოლიკა და სხვა).

ქერქით (სადა, ხორკლიანი, თხელი, სქელი).

ქერქის ფერით (თეთრი, წითელი, ყვითელი და სხვა).

სიდიდით (მსხვილი, წვრილი).

შინაგანის თვისებით (მშრალი, წყლიანი, ფხვიერი, ცომისებური, მაგარი).

გემოთი, ნაყოფიერებით, როგორა სძევს მიწაში (ღრმად, ზერელეთ ან მკიდროთ).

სიმწიფით (საადრეო, საგვიანო).

როცა დამწიფდება კარტოფილი, ფოთლები ეცლება, სათესლე ვაშლები სცივია, ფესოები უხშება და კარტოფილი შორდება ამ ფესვებსა.

ვგონებთ, არც ერთი მცენარე არ არის კარტოფილზე უფრო ნაყოფიერი და გამძლე.

1. პურის თავ-თავის გადანაქერი, როგორც ვიცით, აღარა ხარობს, „ველარ ფესვიანდება“. მაგრამ აი, თავი ამო-



ჰყო მიწიდან კარტოფილის მწვანე ღერომ. ჯერ კიდევ მიწაში ჩველია, გადასკერით და ეს გადანაქერი ფხვიერს მიწაში ჩაბრუნებულა. ეს ღეროები ფესვებს გაიკეთებენ, გაიზრდებიან, აწყვავდებიან და თესლსაც მოისხმენ და კარტოფილსაცა.

2. ეთქვათ, გაზაფხულის სიცივემ ხელი შეუშალა კარტოფილის ამოსვლას, ან სეტყვამ გააფუჭა, წყალ-დიდობამ დააზარალა, ან არა და აყვავებამდე გადასკრეს იგი. ყველა სხვა პური ასეთს გარემოებაში განადგურდებოდა, მაგრამ კარტოფილი ხელმეორედ ამოდის. რასაკვირველია, მოსავალი ბარაქიანი არ ექნება, მაგრამ ცოტა რამეს მაინც მისცემს პატრონს.

3. კარტოფილი დიდხანს არა ჰკარგავს თავისს ძილას. სოფლის ერთმა მეურნემ დიდძალი კარტოფილის ფოთოლ-ღეროები გადააყრევინა ფარებში მოგროვილ ნებეში. ამ ღეროებს აღარც სათესლე ვაშლები ჰქონდა შენარჩუნებული და აღარც კარტოფილი.

— ეს ბალახ-ბულახი ჩაღებება და მიწის სასუქად გამოდგებაო—გაიფიქრა მეურნემ.

ოქტომბრიდან დაწყებული აპრილამდე ნებეში ეყარა ეს ჩენჩი. აპრილში წაიღეს ეს ნებე და ყანაში დაჰყარეს. და მერე რა? მინდორში აუარებელი კარტოფილის ბუჩქი ამოვიდა.

ექვსს თვეს ეყარა ბალახი ნებეში, არ დაღვა და მაინც ფესვები გაიკეთა.

4. კარტოფილის ყოველის „თვალიდან“, ანუ ნაჩვრტიდან რქა გამოდის. რომ მოჰგლიჯოთ ეს რქა და მიწაში ჩარგოთ, მცენარედ იქცევა, ხოლო იმის ადგილას ისევ ახალი რქა გამოუვა კარტოფილს.

ცდა მოახდინეს: კარტოფილს რვა „თვალი“ ჰქონდა, რვაზედვე ფრთხილად მოჰგლიჯეს ახლად გამოსული რქა და მიწაში ჩარგეს. კარტოფილმა კიდევ გამოიღო ახალი რქები. ისინიც მოაშორეს და ჩარგეს მიწაში. კიდევ გამოიღო. ასე



მოიქცნენ ხუთჯერ. ერთმა კარტოფილმა გამოიღო სტრინგის მსგავსი მოცი რქა. ყველამ იხირა, ყველა მცენარედ იქცა. თითოეულმა ბუჩქმა შემოდგომაზე მოიტანა ზოგმა ხუთი, შვიდი და თორმეტი თავი კარტოფილი. ამგვარად ერთმა დედა-კარტოფილმა სამასამდე შვილი ჰშობა.

5. თუ რქა დიდი გაიზარდა, ქდებები ჩნდება იმაზე. ასეთი რქა რომ ქდე და ქდე გაანაწილოთ და მიწაში ჩარგოთ, ყოველი მათგანი მცენარედ იქცევა.

6. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კარტოფილი თავის სათესლე ვაშლითაც მოშენდება. ერთი პატარა ვაშლი ასიდან სამასამდე სათესლე მარცვალს იძლევა. ამ თესლისაგან ამოსული კარტოფილი პირველს წილიწადს წვრილია, მაგრამ მეორე წელიწადს ეს წვრილი კარტოფილები უფრო მსხვილს კარტოფილებს გამოიღებენ.

არის ისეთის ჯიშის კარტოფილი, რომელსაც ყვავილი არა აქვს. გამოჩნდება საყვავილე კვირტი და დასცივია. მაშასადამე, რაკი სათესლე ვაშლი არ გამოხდის, არც თესლი ექნება. ასეთი კარტოფილი თითქოს ნაკლებად უნდა მოშენდეს. მაგრამ სრულიადაც არა. პირიქით, ამ ჯურის კარტოფილმა უფრო მეტი მოსავალიც იცის, უფრო მსხვილს კარტოფილსაც იძლევა და უფრო მეტი „თვლებიც“ აზის სანაშენოდ.

ძნელია სხვა ისეთი მცენარე იპოვოს ადამიანი, რომ კარტოფილივით ადვილად მოსაშენებელი იყოს.

დიდი სარგებლობა მოაქვს კარტოფილს.

პირუტყვით მოვაკრე გერმანელები უმეტეს ნაწილად კარტოფილსა და კარტოფილის ჩენჩს აკმევენ საქონელსა და არა ამდენს თივას. კარტოფილი რძესა ჰმატებს ძროხას. კარტოფილისაგან აკეთებენ სახამებელს, ღერლილს (ბურღულს), იმისაგან სწურავენ ღვინოს, აყენებენ ძმარს, ლუდს, ბადაგს. ამას ხმარობენ თუნუქის მოკალვის დროს. სინჯეს კარტოფილის ჩენჩოსაგან ქაღალდის გაკეთება, ხოლო იმის სათესლე ვაშლებისაგან—წებოს მომზადება.



მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო, რასაკვირველია ის არის, რომ კარტოფილი კარგი საქმელია ადამიანისათვის. კაცს შეუძლიან ისევე ისარზდოვოს კარტოფილით, როგორც პურიით. ოთხი გირვანქა კარტოფილი ისევე გააძღობს ადამიანს, როგორც ერთი გირვანქა პური.

კარტოფილი ხეირობს ქვიშიანს ადგილში, რომელიც სხვა ხორბლეულობისთვის უფარგისია. მაგარს მიწაში ნაკლებად ვარგობს, მაგრამ თვითონ მიწას კი დიდათა ჰრგებს: როდესაც ჰრგავენ, ღრმად სთხრიან მიწას. კარტოფილის ამოთხრის დროს მიწა ფხვიერდება, ბალახი იმარგლება და ამით მიწა ხალისდება და იწმინდება. კარტოფილის ჩენჩო ღებება და მიწას აპოხიერებს. ნაკარტოფილარს ადგილზე დათესილი პური ღონიერი და წმინდა არის ხოლმე.

საცა მეურნეობა ისეა მოწყობილი, რომ მიწას ერთისა და იმავე მოსავლისაგან რამდენსაშე წელიწადს შეასვენებენ ხოლმე, ჩვეულებრივად კარტოფილს ზამთრის ანეულების შემდეგა სთესენ, კარტოფილის მერე შვრისა და ბალახს (იონჯასა და სხვა ბალახს). შემოდგომაზე მომკიან შვრისა, ხოლო ორს შემდეგს წელიწადს ბალახსა სთიბავენ. მეორედ რომ მოსთიბენ ბალახს, მოხნავენ მიწასა და შესასვენებლად დასტოვებენ. აი, მაგალითად, როგორ სწარმოებს ექვს პირი ხენა-თესვა:

1. ზამთრის ანეული.
2. კარტოფილი.
3. შვრია და ბალახი (შვრის მომკიან, ბალახი ახლად ამოდის).
4. ბალახი (სათიბი).
5. ბალახი (სათიბი, მერე შემოდგომაზე ხნავენ).
6. ასვენებენ მიწას (ანეულებისათვის ასუქებენ).

განდევილი

(შემდეგი იქნება)





ფუტკარი და მისი ცხოვრება

ფუტკრის გონიერება ზრუნავში

(შემდეგი *)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზედის მუშას მ'ძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო.
აკაკი.



უ ფუტკრის ნაშრომს კარგად დაუკვირდებოთ, დარწმუნდებით, რომ ფუტკრები საოცარ ოსტატურ ნიქს იჩენენ შრომაში! უიარალოთ აკეთებენ ისეთ საქმეებს, რაც ადამიანისთვის კარგის იარაღითაც კი ძლიერ ძნელია.

აკეთებენ საკვერცხე ფიჭებს; ეს საკვერცხეები ექვს კუთხიანი, ყველა ერთიერთმანეთის სწორია, არც მეტი, არც ნაკლები; ფუტკარმა კარგად იცის, როდის რა ფიჭა გააკეთოს, რომელი საკვერცხე რომლისთვის არის დანიშნული და ამის კვალობაზე აძლევს ფიჭას ფორმას და სიდიდეს. ამ დროს ფუტკარი იჩენს საოცარ დამზოგველობას. აკეთებს სწორეუ იმას, რაც აფცილებელია. მუშა ფუტკარმა იცის, რომ თუ დედა აზიზად არ გაზარდა, ისე კარგი არ იქნება მისთვის. ამიტომ არ ჰზოგავს არაფერს; დედოს საკვერცხეს ანდომებენ სწორედ იმდენ სანთელს, რაც სრულიად საკმაო იქნებოდა ას ორმოც და ათ მუშა ფუტკრისათვის.

ფიქსა და ფიქას შუა სწორედ იმდენ ადგილს სტოვებენ, რაც საკმაოა, რომ ორმა ფუტკარმა ერთმანეთს გზა მის-

*) იხილეთ „ნაკადული“ № 8.



ცეს. ვარდა მუშისა, დედისა და მამლის საკვერცხისა, ვარდა კარგი თაფლობაა, აკეთებენ სათაფლო უჯრებსაც, რომელიც მამლის უჯრის ოდენაა, მაგრამ იმაზე უფრო ღრმაა. როცა ყოველსავე ამას კარგად აკვირდები, ალტაცებაში მოდიხარ— გიკვირს ფუტკრების ხელოვნება და ოსტატობა, მოგწონს მათი მომპირნეობა, სისუფთავე, წესიერება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ფიქვებს აშენებენ უმეტეს ნაწილად ახალგაზრდა მუშები, რომლებიც ჯერ არ არიან საქმეში დიდად დახელოვნებულნი და გამოცდილნი; ახალგაზრდებზე უფრო გამოცდილები და ხნიერები-კი მინდორში არიან და უფრო მძიმე საქმეს აკეთებენ. დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ ის მუშები, რომლებიც პირველად იწყებენ ფიქის შენებას, ვერ აშენებენ შესაფერის სისწორით, მაგრამ რამდენსაც ეჩვევიან, თანდათან ხელოვნდებიან. ეს ამტკიცებს, რომ ისინი ისე კი არ მუშაობენ, როგორც უბრალო მანქანა, არამედ აქვთ გონიერება და ყოველსავე საქმეს აკეთებენ დაკვირვებით და შეგნებით. მოვიყვანოთ მაგალითები. ერთ სკაში თაფლით სავსე ფიქა ჩამოვარდა და დაეცა მეორე ფიქას ისე, რომ ფუტკრებს დაეხშოთ გზა. ფუტკრები ცოტა ხნით შეშფოთდნენ, მაგრამ რაკი მოიფიქრეს, საქმისთვის როგორ ეშველათ, ისევ დაწყნარდნენ და შეუდგნენ მუშაობას; ძლიერ მალე აღმართეს სანთლის ბოძები ქვევიდან ზევით და ამ რიგად გაამაგრეს ჩამოსავარდნად გამზადებული ფიქა; შემდეგ გახვრიტეს შიგთავისუფალი საძრომები და ამისათვის წინდაწინ ამოიღეს თაფლი და სანთელი.

მეორედ უფრო რთული საქმე მოიქმედეს. ფიქა ჩამოვარდა და შემთხვევით შერჩა შუა ადგილას. თუ იქიდგან დაიძრებოდა, მოსალოდნელი იყო გაეფუტებინა სხვა ფიქები. რა ექნათ ფუტკრებს? როგორ აეცილებინათ თავიდგან მოსალოდნელი უბედურება? მთელი მუშათა ჯარი შეუდგა გონიერ-ოსტატურ შრომას; დაიწყეს სკის იატაკიდან ქვევიდან ზევით ფიქის აგება და ეს ფიქა ხელად შეუერთეს ჩა-


მოვარდნილ ფიქსს; ამას შემდეგ შიში აღარ იყო, ფიქსა ქვევით აღარ ჩამოვარდებოდა; მაგრამ მუშა ფუტკარები დაკმაყოფილდნენ. საიდგანაც ფიქსა ჩამოვარდა, ახლა იმ ადგილიდან დაიწყეს ფიქის კეთება წესიერად, ესე იგი ზევიდგან ქვევით და ამ რიგად შეუერთეს ჩამოვარდნილ ფიქსს, მაგრად მიაკოწიწეს და, რაკი ახლა აღარავითარი შიში აღარ იყო მისის ქვევით ჩამოვარდნისა, ქვევიდგან შეყენებული ფიქსა სრულიადაც მოაშორეს. გონიერმა ფუტკარებმა ეს ქვედა ფიქსა მხოლოდ მისთვის გააკეთეს, რომ ზედა არ ჩამოვარდნიყო და, რაკი საკირო აღარ იყო, ადგნენ და უადგილო ადგილას დროებით გაკეთებული ისევ აიღეს.

იყო ასეთი შემთხვევაც: საზოგადოდ ფიქები ცვივა სიცხე პაპანაქების დროს. ასეთის სიცხის დროს ერთმა ფიქამ ცოტათი დაიწია, ჩამოვარდნას ლაშობდა. რაკი ეს შენიშნეს ფუტკარებმა, იმის შიშით რომ სხვებიც არ ჩამოვარდნიყო, რაკი სიცხე იყო: ადგნენ და გაამაგრეს ქვევიდგან სანთლის ბიჯგით (ბოძ-კენტით), როგორც შერყეული ფიქა, ისე სხვა დანარჩენიც. როგორ გავიგო, ჩემო მეგობრებო, ფუტკარების ასეთი საქციელი? დავიჯეროთ არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ? სრულიადაც არა. მშვენიერად ესმოდათ, რას შვრებოდნენ; წინასწარ მოფიქრებულის გეგმით მოქმედებდნენ და, რაკი ეს გეგმა ქვეიანური და გონიერული იყო, ამისათვის მოყვანილი და სხვა მრავალი მაგალითი ფუტკართა ცხოვრებისა ამტკიცებს, რომ ფუტკარი გონიერი არსებაა, მიხვედრილი, კკუა მახვილი მწერი.

(შემდეგი იქნება)

აპ. წულაძე





სინათლე და მისი

მნიშვნელობა

8

(შემდეგი)

ვეით ჩვენ შევისწავლეთ რთული და სრული თვალი მის განვითარების უკანასკნელ სტადიაში. თუ შევადარებთ ამისთანა თვალს უფრო უბრალო ტიპებს თვალისას, მაშინ კიდევ უფრო ცხადად დაეინახავთ ამსაოცარ ორგანოს თანდათან განვითარებას და მის ფუნქციების (მოქმედების) შემუშავებას. მივმართოთ ამ აზრით მოლლიუსკების¹⁾ თვალებს. ამ ცხოველების სხვა და სხვა წამომადგენლების თვალები საინტერესო არიან იმითი, რა გვიჩვენებენ თვალს თანდათან განვითარებას. უუმარტივესი თვალი ზოგის მათგანისა შესდგება პიგმენტებიანის უჯრედებისაგან 3 (სურ. 22), რომელსაც მობმული აქვთ ნერვის ძაფები, და ეს უკანასკნელები კი უერთდებიან ნერვების ცენტრს. ასეთი აპპარატი ნამდვილი თვალი არ არის და შეუძლიან გაარჩიოს მხოლოდ ნათელი ბნელისაგან, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, აგრძნობინოს პატრონს ფიზიოლოგიური მოქმედება ეთერის ტალღებისა.



სურ. 22).


1) მოლლიუსკები ეკუთნიან უბერბემლო ცხოველთა ჯგუფს.



23 სურათი გვიჩვენებს ცოტათი უფრო განვითარებულ მხედველობის ორგანოს, აქ პიგმენტებიან უჯრედების რიცხვი უფრო გამრავლებულია, თვითონ ორგანო მოღუნულია თვალის მსგავსად, და გამოკალკევებულია ოპტიკური (მხედველობის) ნერვი 6, რის გამოც ეს სინათლო იარაღი უფრო მგრძობიარეა.




(სურ. 23.)




(სურ. 24.)

24 სურათზე ვხედავთ ერთს მოლლიუსკის ისეთს თვალს, რომელიც სრულიად მორგვალეებულია; შუაში დარჩენილი აქვს პატარა ნახვრეტი სხივებისთვის 6b. პირველ ხანებში იგი გავსილი იყო წყლით, რადგანაც თვითონ ცხოველი წყალში სცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ ეს ადგილი ამოავსო თვალის უჯრედებიდან გამოკალკევებულმა გამსკვირვალე სითხემ, და ნახვრეტსაც გამსკვირვალე გარსი 6 გადაეკრა (სურ. 25). ამ დროს თვალში მყოფი სითხე ასრულებს ლინზის როლს, მაგრამ იგი

საც გამსკვირვალე გარსი 6 გადაეკრა (სურ. 25). ამ დროს თვალში მყოფი სითხე ასრულებს ლინზის როლს, მაგრამ იგი



(სურ. 25.)



(სურ. 26)



(სურ. 27.)


უნაკლოდ ვერ აკეთებს გამოხატულებას; შემდეგ ამ სითხისაგან გამოკალკევედა თვით ლინზა, და გაკეთდა ისეთი თვალი, რო-




მელიცაა აღნიშნული 26 სურათზე. ლინზის გამჭვირვალობის შემდეგ, თვალის უკანა ნაწილში დარჩა ის სქელ-სინათლე, რომელსაც შუშის მსგავს სითხეს ეძახიან. მაგრამ ამ თვალში ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ირისს, რომელიც, როგორც ვიცით, სინათლის რეგულიატორია. ირისიანი თვალი აქვს უფრო განვითარებულ შოლლიუსს, სადაც ის ჩამოჭყვინტავს კიდევებზე ლინზას (სურ. 27). ეს ორგანო მოგვეგონებს ხერხემლიან ცხოველების სრულს თვალს — იმის პატრონს უკვე დამთავრებული იარაღი აქვს მხედველობისა.

უთვალავმა საუკუნოებმა განვლო, ვიდრე ასეთი რთული ორგანო შემუშავდებოდა ბუნებაში, და ცხოველებს მიეცემოდათ ღონისძიება ვგრძნოთ ის, რასაც სინათლეს უწოდებთ, და საგნები დაენახათ. მრავალმა საუკუნოებმა განვლო აგრედვე, ვიდრე ადამიანი მეცნიერულ გზაზე დადგებოდა და შეისწავლიდა თვალს, სინათლეს და ყველა მისგან წარმომდინარე საკვირველებას, რომელთა შორის ზოგი უკვე ხევით გავიცანით და ზოგსაც შემდეგ გავიცნობთ.

ი. მოსეშვილი





მითღობია

ბროლის ომი *)

ერთის დღით ზაგა დასოცად მეომართა პატავსაცემლად.

ექტორისა და აიანტის შებრძოლების შემდეგ, აქვეყლები-
ბისა და ტროადელების ბრძოლის ველზედ გამოსული,
რაზმები თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ. აქვეყლებმა
ბანაკში დაბრუნებისთანავე, ღმერთების მამათ-მთავარს
ზევსს, ნიშნად მადლობისა, ბრწყინვალე მსხვერპლი
შესწირეს. სახელოვან გმირის აიანტის პატივსაცემლად
გაიმართა აქვეყელთა ბანაკში დიდებული ნადიმი, რო-
მელზედაც ელლინთა საუკეთესო გმირნი დიდის ქებითა და
აღტაცებით იხსენიებდნენ აიანტის ოაკ-განწირულ მამაცობას
ტროადელების უმამაცეს გმირ ჰექტორთან შებრძოლების
დროს. ყველანი თავ-მოწონებით შეჰყურებდნენ ბრძოლის
ველიდან დაბრუნებულს გმირს და ჰექტორზედ უეჭველს გა-
მარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ამ საერთო აღფრთოვანების დროს, დინჯად წამოდგა
ტკბილად მოუბარი მოხუცი ნესტორი და ესეთის ბრძნულის
წინადადებით მიჰმართა ნადიმზედ შეკრებილ აქვეყელთა გმი-
რებს: „დიდებულნო გმირნო ელლინთა მხედრობისანო, მოი-
სმინეთ და ყური დაუგდეთ ამ ჩემს რჩევას! მრავალ მეომრის
სისხლი დაანთხია ომიანობის ღმერთმა არესმა, მრავალმა აქე-
ველმა გმირულად სული დალია ბრძოლის ველზედ, მათის
გვამებით მოფენილია თვალ-უწვდენელი საზარელის ბრძოლის

*) იხილეთ „ნაკადული“ № 8.



ველი. ჩვენი მოვალეობაა შესაფერი პატივი ვსცევთ სომხურ მუშა-
ლოსათვის თავდადებულ გმირებს და ღირსეულად დაწინაურებულ
ლაევოთ მათნი გვაზნი და ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა
ერთის დღით შევსწყვიტოთ ომი და შესაფერის პატივისცე-
მით დავეკრძალოთ ჩვენთა თანამემამულეთა გვაზნი. დიაღ,
ერთის დღით აუცილებლად საჭიროა ამ საქმისათვის შევეკრათ
ჩვენს მტერთან ზავი. გარდა ამისა, საჭიროა მეორე საქმეც
აუცილებლად შევასრულოთ. ჩვენი გეგმები რომ უშიშრად
იდგნენ ზღვაში, ღრმა თხრილით უნდა შემოვზღუდოთ დიდს
მანძილზედ ზღვის ნაპირი და ამ თხრილს გარს მაღალი კე-
დელი შემოვავლოთ. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენის გეგმების
უშიშრობას არაერთი სიფრთხე აღარ ექმნება და, თუ ვინ-
ცობაა, ტროადელებმა ზღვის ნაპირამდის მოაღწიეს, ასეთის
ღრმა თხრილისა და კედლების მეოხებით, გეგმები დაუფასებელ
სამსახურს გაუწევენ აქვევლების ძლევა-მოსილ მხედრობას“.

ელლინთა გმირებმა სავსებით მოიწონეს ტკბილ მოუ-
ბარის ნესტორის რჩევა და წინადადება. აქვევლთა მთავარ-
სარდალმა აგამემნონმა საბოლოოდ გადასწყვიტა მოხუც ნეს-
ტორის ბრძნულ რჩევის, რაც შეიძლება, მოკლე ხანში გან-
ხორციელება. სწორედ იმ საღამოს, როცა აქვევლთა ბანაკში
ასეთი თათბირი ჰქონდათ ელლინთა გმირებს, ტროადელებ-
ბიც შეიკრიბნენ მეფის სასახლეში და თათბირი გაჰმართეს
იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ შემდეგშიო. ყველას
ერთი დარდი, ყველას ერთი მწუხარება უწუხებდა გულს.
ტროადელებმაც უკანასკნელ ომის დროს მრავალი, სამშობ-
ლოსათვის თავდადებული მეთაირი დაჰკარგეს. სასახლეში შე-
კრებილ ტროადელების გმირებს ყველას მიერ პატივცემულმა
ანტიენორმა ურჩია, სამკედრო-სასიცოცხლო ომის ბოლოს
მოსაღებად საჭიროა მენელაოსს უკანვე დაუბრუნოთ პარისის
მიერ მოტაცებული მშვენიერი ელენე და ყველა ის ავლა-
დიდება, რომელიც მშვენიერ ელენეს თან მოჰყვა საბერძნე-
თიდანაო. მეფე პრიამოსის ვაჟის-შვილი მეტად ააღელვა ასეთმა



წინადადება. პარისი გადაკრით ამბობდა უარს, მშვენიერ ელენეს შენელოას ვერ დაუბრუნებო. პარისი მხოლოდ იმის თანხმა იყო, რომ უკანვე დაებრუნებინა ყველა ის ძვირფასი ნივთი, რაც ელენეს თან წამოეღო შენელოასის სასახლიდან.

თათბირის დროს მოხუცმა მეფე პრიამოსმა ესეთის სიტყვებით მიჰმართა სასახლეში შეკრებილს ტროადელების გმირებს: სამშობლოსათვის თავ-განწირულნო გმირნო! მთელის დღის მედგრად ბრძოლის შემდეგ, აუცილებლად საჭიროა ძალღონე მოიკრიბოთ. დაისვენეთ ცოტას ხნით, ივახშმეთ კარგად და შემდეგ თვალ-ყური ადევნეთ ქალაქს, რომ უეცრად და მოულოდნელად მტერი თავს არ დაგვესხას. დილით კი ერთი თქვენგანი წავიდეს აქვევლთა ბანაკში და გადასცეს ელლინთა მთავარ-სარდალს, რომ პარისი მზად არის დაუბრუნოს შენელოასს ყველა ის სიმდიდრე, რაც-კი მის სასახლიდან თან წამოიღო ელენემ. გარდა ამისა, სთხოვეთ აქვევლთა მთავარ-სარდალს, ერთის დღით ზავი შეეკრათ ბრძოლის ველზედ დახოცილ მებრძოლთა კოცონზედ ღირსეულად დასაწვავად.

ტროადელების გმირებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს მეფე პრიამოსის წინადადება. მეორე დილით, მართლაც, აქვევლთა ბანაკში გაემგზავრა ტროადელების შიკრიკი მეფე პრიამოსის წინადადების გადასაცემად.

ელლინთა მთავარ-სარდალი დიდის სიამოვნებით დასთანხმდა ერთის დღით ზავის შეკვრას ბრძოლის ველზედ დახოცილ მემომართა ღირსეულის პატივისცემისათვის. ხოლო რაიცა შეეხება პარისის განზრახვას მარტოდ-მარტო მშვენიერ ელენეს ძვირფას ნივთების დაბრუნების შესახებ, აქვევლთა გმირებმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადეს და, რასაკვირველია, არც დასთანხმდნენ, მარტო მაგ დათმობით გულს ვერ დავიშვიდებთო.

ძლევა-მოსილი დიომედესი სიბრაზით ზეზე წამოიჭრა და ასეთის სიტყვებით მიჰმართა ტროადელების შიკრიკს: „გადავეცით ტროადელებს, რომ მათი წინადადება დაგვიანებულია. ჩვენთვის მშვენიერ ელენეს მიერ წაღებულ სიმდიდრის დაბ-



რუნება საქმარისი არ არის. დღეს დღევობით ყველა მათგანს აშკარაა, რომ ტროადის აღსასრული მოახლოვებულია! უნდა არის ამ ვაჟად ისეთი გულ-უბრყვილო და სულელი, რომ ტროადის ესეთ უკიდურეს მდგომარეობას არ ჰგრძნობდეს. თუ ეს ასეა. განა ამის შემდეგ შესაძლებელია ტროადელების წინადადება შევიწყნაროთ?! ტროადელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მშვენიერ ელენეს და ყველა მის სიმდიდრეს უკან დაიბრუნებს ელლინთა ძლიერ-მოსილი მხედრობა. ეს, ვიმეორებ, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს და ვწუხვართ, რომ ტროადელებს-კი დღემდის ვერ შეუგნიათ!“

აქვევლების სარდლები ყველანი ერთ-ხმად დაეთანხმნენ დიომედესს და განაცხადეს სურვილი უკანასკნელ სულის კვეთებამდის ომის განგრძობისა.

ამას შემდეგ, ელლინთა მთავარ-სარდალმა ასე მიჰმართა ტროადელების შიკრიკს: „მე სრული თანხმა ვარ აქვევლების სარდლების აზრისა, მხოლოდ თქვენს პირველ წინადადებას ვეთანხმები ზავის შეკვრის შესახებ. შევკრათ ზავი ერთის დღით და ღირსეული პავიტი ვცეთ ჩვენს მეომრებს, რომელთაც თავისი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს სახელისა და დიდების აღდგენას.“

ტროადელების შიკრიკი დაბრუნდა ილიონის ბანაკში. ტროადელები და აქვევლები დაუყონებლივ გამოვიდნენ ბრძოლის ველზედ და შეუდგნენ თავიანთ მეომრების გვამთა მოგროვებას.

ბრძოლის ველის მრავალ ადგილას გაჰმართეს ორთავე მხარემ კოცონები, რომელზედაც სწვავდნენ შესაფერის წესით მეომრების გვამებს.

აქვევლების მხედრობის უმეტესი ნაწილი სწორედ იმ დროს, როცა ბრძოლის ველზედ ამართულ კოცონებზე დახოცილ მეომართა გვამებს სწვავდნენ, ზღვის მახლობელ ნაპირებს ღრმა თბრილებს ავლებდა და მაგარსა და მალალს კედლებს აშენებდა. თვითოეული მეომარი იშვიათის გულმოდგინებით სამუშაოს თავს დასტრიალებდა იმ იმედით, რომ მეორე დღისათვის ომი განეახლებინა და გაორკეცებულის სიმამაცით თავის მოსისხლე მტერს უშიშრად შებრძოლებოდა.

ა. მიქაბერიძე





ანდაზები და გამოსანა

ანდაზები

მამისა შვილი გამოვა და ბუისა ბუქნაქოვო.

პაპის ნაქამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსკრა კბილიო.


დედა იკითხეო, კვიცი იყიდეო.

სხვისი იმედით სუფრას ნუ გაშლიო.

გამოსანა

გლებმა წისკვილში დასაფქვეად 32 ტომარა ხორბალი ჩაიტანა და მიაწყო ტომრები ოთხს კედელზე ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები:

მეწისკვილემ დაჰფქვა ხორბალი, მაგრამ ოთხი ტომარა მოჰპარეს. შეეშინდა მეწისკვილეს, მაგრამ ისე დააღაგა ტომრები, რომ დათელის დროს ყოველ მხრით თორმეტ-თორმეტი გამოდიოდა. გლებმაც დასთვალა და, რაკი ყოველმხრით ისე გამოდიოდა, როგორც თვითონ დააწყო, დაუდო ტომრები ურემზე და გამოსწია შინისკენ. სახლში სათითაოდ დასთვალა და შეატყო, რომ ოთხი ტომარა აკლდა. როგორ დაულაგებია ტომრები მეწისკვილეს?



ს ი მ უ ს ი



”



ს



ს 2”

დ ე მ ა



” “




ს

” ს 2 ”



” ტ მ ი ”



”

ს 2 ”



3” ს 2 3”

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდე.



საქმეწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მესუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ კარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შიადება წლიურად და ნახევარი წლით ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშობათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევე 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.